

20 ივნისის მოვლენები: აქციის დაშლა და ადამიანის უფლებების დარღვევის ძირითადი პრაქტიკა

პირველადი სამართლებრივი შეფასება

ზოგადი კონტექსტის მიმოხილვა

2019 წლის 20-21 ივნისს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, განვითარებული მოვლენები, ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციის დაშლა და ამ მიზნით გამოყენებული საპოლიციო ძალა უკანასკნელი წლების განმავლობაში ყველაზე მძიმე და დრამატული აღმოჩნდა. 2012 წელს ხელისუფლების ტრანზიციის შემდეგ, ეს იყო პრაქტიკულად პირველი შემთხვევა¹, როდესაც პოლიციამ მრავალრიცხოვანი დემონსტრაციის დაშლის გადაწყვეტილება მიიღო და რამდენიმე საათის განმავლობაში მომიტინგეთა მიმართ სხვადასხვა სახის და ინტენსივობის სპეციალურ საშუალებას იყენებდა.

ამ მოვლენებს წინ უსწრებდა, 20 ივნისს, დილით, თბილისში, საქართველოს პარლამენტის ისტორიულ სხდომათა დარბაზში მართლმადიდებლობის საერთაშორისო ასამბლეის სხდომა, სადაც თავმჯდომარის ტრიბუნას რუსეთის ფედერაციის დეპუტატი სერგეი გავრილოვი იკავებდა და რუსულ ენაზე მიმართავდა ასამბლეის მონაწილეებს. რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის ფონზე, რუსი დეპუტატის გამოჩენას საკანონმდებლო ორგანოში და მისი მხრიდან მაღალი ტრიბუნის დაკავების სიმბოლურ აქტს, საზოგადოებაში დიდი უკმაყოფილება და პროტესტი მოყვა.

პარლამენტის შიგნით და გარეთ, საზოგადოებრივი ჯგუფების მობილიზაციის, ასევე საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ პარლამენტის სხდომათა დარბაზში პრეზიდენტის დაკავების შემდეგ, საპარლამენტო უმრავლესობამ გააკეთა განცხადება, რომ ასამბლეის სხდომა აღარ გაგრძელდებოდა.² შედეგად რუსეთის დელეგაციამ და სერგეი გავრილოვმა ჯერ პარლამენტის შენობა, მოგვიანებით კი საქართველო დატოვა.

დღის განმავლობაში დაწყებული სპონტანური აქცია და უკმაყოფილება, 20 ივნისის საღამოს ორგანიზებულ ფართომასშტაბიან პროტესტში გადაიზარდა. სამოქალაქო აქტივისტებმა პარლამენტის შენობის წინ ანტისაოკუპაციო აქცია დააანონსეს.

აქცია სლოგანით „სირცხვილია“ პარლამენტთან 19:00 საათზე დაიწყო, აქციის მონაწილეთა და ორგანიზატორთა მთავარ მოთხოვნას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, შინაგან საქმეთა

¹ შენიშვნა: პოლიციის უპრეცედენტო მობილიზაცია და სპეციალური საშუალებების გამოყენების ბოლო ფაქტები ასევე დაფიქსირდა 2019 წლის 21 აპრილს პანკისის ხეობაში ჰესების მშენებლობის პროცესთან დაკავშირებით.

² ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2NqwRjr>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

მინისტრისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გადადგომა წარმოადგენდა.³

საპროტესტო აქცია დასაწყისიდან რამდენიმე საათის განმავლობაში მშვიდობიან ხასიათს ატარებდა. თუმცა, სიტუაცია გამწვავდა მოგვიანებით, როდესაც აქციის მონაწილეთა ნაწილმა ოპოზიციური პოლიტიკური ლიდერების მოწოდების ქვეშ პოლიციის კორდონის გარღვევა და პარლამენტის შენობაში შესვლა სცადა, რასაც თან ახლდა აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცავებს შორის მრავალეპიზოდური მძიმე ფიზიკური დაპირისპირება. ძირითადად პოლიციის კორდონებთან განლაგებული შეკრების მონაწილეების ქცევამ და განზრახვებმა აშკარად არამშვიდობიანი ხასიათი მიიღო, რის გამოც ისინი გავიდნენ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით დაცული ფარგლებიდან. სიტუაციის ესკალაციის ფონზე, დაახლოებით ღამის 12 საათისთვის, პოლიციამ აქციის დაშლის გადაწყვეტილება მიიღო. დაშლის ღონისძიების დროს პოლიციამ გამოიყენა სხვადასხვა სახის სპეციალური საშუალება, მათ შორის, ცრემლსადენი გაზი, რეზინის ტყვიები და წყლის ჭავლი. სპეციალური საშუალებების გამოყენება რამდენიმე საათს გაგრძელდა და მან პარლამენტის შენობის დაკავებისა და არამშვიდობიანი შეკრების მონაწილეებისგან მომდინარე საფრთხის პრევენციის მიზანი აშკარად დაკარგა და არალეგიტიმური და არაპროპორციული საპოლიციო ძალის გამოყენებაში გადაიზარდა. დაახლოებით ღამის 2 საათისთვის, პოლიციის დანაყოფებმა უშუალოდ პარლამენტის წინა პერიმეტრიდან რუსთაველის გამზირზე გადაინაცვლეს და მთლიანად რუსთაველის გამზირის და მიმდებარე ტერიტორიების აქციის მონაწილეებისგან დაცლა გადაწყვიტეს. პოლიციასა და აქციის მონაწილეთა ნაწილს შორის დაპირისპირება მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა. უკვე 21 ივნისს, გამთენიისას, პოლიციის თანამშრომლებმა რუსთაველის გამზირზე და მიმდებარე ქუჩებზე აქციის მონაწილეთა და მოქალაქეთა ადმინისტრაციული წესით დაკავებები დაიწყეს და მათ მიმართ გაუმართლებელ ძალადობრივ და ღირსების შემლახავ მოპყრობას ავლენდნენ. დაკავებულების ნაწილი უთითებს დაკავების შემდეგ, პოლიციის ფაქტობრივი კონტროლის პირობებში მათ მიმართ ძალის გამოყენების უხეშ შემთხვევებზე.

რუსთაველზე განვითარებული მოვლენების შედეგად, 20-21 ივნისს პოლიციამ ადმინისტრაციული წესით 305 პირი დააკავა⁴, რომელთაგან 121-ს მოგვიანებით სასამართლომ ადმინისტრაციული პატიმრობა შეუფარდა⁵. მოგვიანებით, სააპელაციო სასამართლოში საქმეების განხილვის ეტაპზე, პატიმრობაშეფარდებული პირების დიდი ნაწილი გათავისუფლდა პატიმრობის ვადის შემცირებით. აქციის დაშლის კონტექსტში, განსაკუთრებით მძიმე იყო დაშავებულთა და დაზარალებულთა რიცხვი და მათი მდგომარეობა. არსებული ინფორმაციით, პოლიციასთან შეტაკებებისა და პოლიციის მიერ ძალის გამოყენების შედეგად, დაშავდა 240 ადამიანი, მათგან 34 ჟურნალისტი, 80 კი პოლიციელი⁶. აქციის რამდენიმე მონაწილემ დაკარგა მხედველობა, ორი ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა კი ამ დროისთვისაც მძიმე რჩება.

20 ივნისის მოვლენებთან კავშირში, საქართველოს პროკურატურამ გამოძიება დაიწყო პოლიციის წარმომადგენლების მხრიდან ცალკეულ ეპიზოდებში ძალის გადამეტების შეთხვევებზე და გამოთქვა

³ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RPiDau>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁴ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KSsqvP>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁵ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xruvWG>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁶ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XeY20h>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

გამოძიების პროცესში სახალხო დამცველის ჩართვის მზადყოფნა.⁷ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 21 ივნისს, საგანგებო ბრიფინგზე გაავრცელა ინფორმაცია ჯგუფური ძალადობის ორგანიზების, ხელმძღვანელობისა და მასში მონაწილეობის ფაქტებზე გამოძიების დაწყების შესახებ.⁸ მოგვიანებით, 24 ივნისს კი, შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოებას ასევე აცნობა, რომ გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარებული მოკვლევების ფარგლებში 10 სამართალდამცავს შეუჩერდა უფლებამოსილება, 2 სამართალდამცავის საქმე კი გადაიგზავნა პროკურატურაში.⁹ 3 ივლისს ასევე ცნობილი გახდა, რომ უფლებამოსილება შეუჩერდა შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის დირექტორს.¹⁰

20-21 ივნისს პოლიციის ძალადობის და თვითნებობის პრაქტიკამ წინა წლებში აქციების დარბევის მძიმე გამოცდილება (მათ შორის, 2007 წლის 7 ნოემბერი, 2011 წლის 26 მაისი) კვლავ დააბრუნა ჩვენი საზოგადოების კოლექტიურ მეხსიერებაში და ინსტიტუციური ძალადობის საკითხი კვლავ მწვავედ დააყენა პოლიტიკურ დღის წესრიგში. განსაკუთრებით საგანგაშოა საპოლიციო ძალის ამ მასშტაბით გამოყენების საკითხი ანტისაოკუპაციო შინაარსის აქციაზე, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში ყველაზე გაზიარებული გამოწვევა და კოლექტიური ტრავმაა. სამწუხაროა, რომ 20 ივნისის დამის მოვლენების თავიდან აცილებისა და დეესკალაციის პოლიტიკური რესურსი არ აღმოაჩნდა არცერთ პოლიტიკურ ჯგუფს და მათ ვერ მოახერხეს საზოგადოებრივი უკმაყოფილების და ბრაზის ფორმალური პოლიტიკის ველში გადატანა. განსაკუთრებით საგანგაშოა ის, რომ სიტუაციის უკიდურესი გამწვავებისა და შეკრების მონაწილეების მხრიდან ძალადობრივ ქმედებებში ჩართვის პირობებშიც კი, ამგვარი ქმედებების აღკვეთისთვის საჭირო პოლიტიკური ნაბიჯები არცერთი პოლიტიკური ჯგუფის, მათ შორის, არც ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან არ გადაიდგა და შეკრების მონაწილეები საგანგებო დავალებათა ანონიმური რაზმების წინაშე მთელი ღამე მარტო დარჩნენ. პოლიტიკური პროცესების რადიკალიზება და უკიდურესი პოლარიზება არღვევს ჩვენი საზოგადოების სოციალურ ქსოვილს, მშვიდობასა და შეთანხმებაზე ორიენტირებული დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესს. ამ ღირებულებების და თამაშის წესების უგულვებელყოფა პოლიტიკური აქტორების მხრიდან უპასუხისმგებლობის უკიდურესი გამოვლინებაა და ის ჩვენი საზოგადოების მხრიდან სათანადო პოლიტიკურ აღიარებას და შეფასებას მოითხოვს.

ცხადია, რომ 20 ივნისს განვითარებული მოვლენები, მათ შორის, საზოგადოების უკმაყოფილების მიზეზები, მრავალმხრივ და სისტემურ პოლიტიკურ, სოციალურ და სამართლებრივ ანალიზს საჭიროებს, თუმცა, წინამდებარე პირველადი ანგარიშით “ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)” წარმოადგენს 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების, აქციის დაშლის, გამოყენებული საპოლიციო ძალის ლეგიტიმურობისა და აქციის მონაწილეთა დაკავებების კანონიერების სამართლებრივ შეფასებას.

შეფასებისთვის მნიშვნელოვან ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებზე ოფიციალური ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროდან და სხვა უწყებებიდან ამ დრომდე მიღებული არ არის. ამდენად,

⁷ გენერალური პროკურატურის 2019 წლის 24 ივნისის განცხადება გამოძიების დაწყების თაობაზე, ხელმისაწვდომია: http://pog.gov.ge/geo/news?info_id=2102, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁸ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 21 ივნისის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2FH6CPB>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁹ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 24 ივნისის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XFrRvb>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

¹⁰ შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 3 ივლისის განცხადება, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2LzR7fV>

წარმოდგენილი შეფასება არსებითად ეყრდნობა საჯარო წყაროებში, მათ შორის, სატელევიზიო და ონლაინ მედიებში, არსებულ ინფორმაციასა და ვრცელ ფოტო-ვიდეო მასალას. ასევე, სამართლებრივი შეფასების მომზადებისას, ინფორმაციის შეგროვებისა და გადამოწმების მიზნით, EMC გაესაუბრა აქციის მონაწილე რამდენიმე ადამიანს, რომლებიც სხვადასხვა დროს მთავარ ლოკაციებსა და მოვლენების ეპიცენტრში იმყოფებოდნენ. გამოკითხული პირების ნაწილი, ასევე დაკავებული იყო ადმინისტრაციული წესით. გამოკითხულებს შორის არიან ჟურნალისტებიც, რომლებიც რუსთაველის გამზირზე მიმდინარე მოვლენებს აშუქებდნენ. წარმოდგენილ სამართლებრივ შეფასებაზე მუშაობის დროს ასევე გათვალისწინებულია ის ოფიციალური ინფორმაცია, რომელსაც შინაგან საქმეთა სამინისტრო და სხვა ოფიციალური სტრუქტურები 20 ივნისს და შემდგომ დღეებში ავრცელებდნენ.

ანგარიშში საკითხები შემდეგი თანმიმდევრობით იქნება განხილული:

- 20 ივნისის აქციის დაშლის სამართლებრივი შეფასება;
- აქციის დაშლის შემდგომ დემონსტრანტთა მიდევნებისა და დაკავების პრაქტიკები;
- დაკავების შემდგომ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტები;
- ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის შემთხვევები.

შეკრების თავისუფლებაში ჩარევა და აქციის დაშლის სამართლებრივი შეფასება

20 ივნისის აქციის დაშლის და მასთან კავშირში საპოლიციო ძალის გამოყენების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები რამდენიმე ასპექტში უნდა შეფასდეს, მათ შორის:

- არსებობდა თუ არა აქციის დაშლის სამართლებრივი საფუძველი;
- დაიცვა თუ არა პოლიციამ აქციის დაშლის აუცილებელი წინაპირობები და წესები;
- იყო თუ არა აქციის დაშლისთვის გამოყენებული საპოლიციო ძალა და საშუალებები კანონიერი და პროპორციული.

აღნიშნული საკითხების სრულფასოვანი შეფასების მიზნით, EMC-იმ 2019 წლის 25 ივნისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თბილისის მერიას განცხადებებით მიმართა და გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია შეკრების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლის, გადაწყვეტილების მიმღები პირისა და შეკრების მონაწილეთა მიმართ შეკრების შეწყვეტამდე გაკეთებული მოწოდებების შესახებ. შსს-სა და მერიისგან ინფორმაცია EMC-ის ამ დროისთვის არ მიუღია, რის გამოც 20-21 ივნისის მოვლენების შეფასება, როგორც ზემოთ აღნიშნა, სხვა საჯარო წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაციით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა და საერთაშორისო სტანდარტების ანალიზით შემოიფარგლება.

ა) არსებობდა თუ არა აქციის დაშლის სამართლებრივი საფუძველი

შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების განხორციელება, როგორც მოსახლეობის კოლექტიური ქმედება და საერთო იდეის ირგვლივ გაერთიანებულ ადამიანთა მიერ განხორციელებული აქტი, არსებითი მნიშვნელობისაა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისა და სოციალური ტრანსფორმაციის წახალისებისთვის. შეკრების უფლების განხორციელებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მთავრობის ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეების მხრიდან სამოქალაქო

პროცესებში ჩართულობისთვის, ხალხის ხმის გაჟღერებისა და მოქალაქეების დემოკრატიული პროცესების მნიშვნელოვან აგენტებად ქცევისთვის.¹¹

საქართველოს კონსტიტუცია იცავს მშვიდობიანი შეკრების უფლებას და შეკრების შეწყვეტას მის კანონსაწინააღმდეგო ხასიათს უკავშირებს. ის თუ რა ითვლება კანონსაწინააღმდეგოდ, ან/და როდის შეიძლება შეკრებამ ასეთი ხასიათი შეიძინოს, დაკონკრეტებულია “შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ” საქართველოს კანონში (შემდგომში, კანონი).

მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ როგორც საქართველოს კანონმდებლობა, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია დაცვის ობიექტად მხოლოდ „მშვიდობიან“ შეკრებებს აცხადებს. აღნიშნული მუხლის დაცვის მიღმა ხვდება მხოლოდ ის შეკრებები, სადაც მონაწილეებსა თუ ორგანიზატორებს იმთავითვე აქვთ ძალადობრივი განზრახვები, რომელიც იწვევს საჯარო უწყესრიგობას. ძალადობა თუ არეულობა, რომელსაც ინციდენტური ხასიათი აქვს, ვერ გაცდება მე-11 მუხლის დაცვის ფარგლებს მიუხედავად იმისა, რომ ძალადობას ზოგადად აქვს ადგილი, აღნიშნული მუხლის დაცვის ფარგლებში მოხვედრისათვის არსებითი მნიშვნელობისაა მონაწილეთა და ორგანიზატორთა განზრახვა, ჩაატარონ მშვიდობიანი შეკრება, და არა ძალადობის შესაძლო წარმოშობა.¹² მეტიც, სახელმწიფოს შეკრების არამშვიდობიანი მონაწილეების იზოლირება და შეკრების სხვა მონაწილეებისთვის უფლების სარგებლობის პირობების შექმნა ეკისრება.

20 ივნისს, პარლამენტის წინ შეკრებილი მოქალაქეები, რამდენიმე საათის განმავლობაში პროტესტს მშვიდობიანი ფორმით გამოხატავდნენ, აპროტესტებდნენ ოკუპაციას და ითხოვდნენ რამდენიმე თანამდებობის პირის გადადგომას. აქციის დაწყებიდან დაახლოებით 3 საათში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ნიკა მელიამ აქციის მონაწილეებს მიმართა და კონკრეტულ დროში მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, პარლამენტში შესვლისკენ მოუწოდა.¹³ სწორედ ნიკა მელიას მიერ გაჟღერებული ვადის მიწურულს აქციაზე სიტუაცია დაიძაბა. ამჟამად გახდა, რომ აქციის მონაწილეთა ნაწილის ქცევამ თავდაპირველი, მშვიდობიანი ხასიათი შეიცვალა. საღამოს 21:50 საათიდან პარლამენტის კიბეებზე მდგომი აქციის მონაწილეების საკმაოდ დიდი ჯგუფი შეეცადა სპეცრაზმის კორდონის გარღვევას და პარლამენტის ეზოში შესვლას.¹⁴

პარლამენტის შენობაში აქციის მონაწილეთა ჯგუფის შეღწევის პირველი მცდელობისას ადგილზე მყოფმა სპეცრაზმის წევრებმა შეძლეს მონაწილეთა შეკავება¹⁵. რამდენიმე მათგანი დააკავეს და პარლამენტის ეზოში შეიყვანეს. პირველი შეტაკების შემდგომ, მცირე ხნით, სიტუაცია კონტროლს

¹¹UN Human Rights Council, Joint report of the Special Rapporteur on the rights to freedom of peaceful assembly and of association and the Special Rapporteur on extrajudicial, summary or arbitrary executions on the proper management of assemblies, 4 February 2016, A/HRC/31/66, §5, ხელმისაწვდომია: <https://www.refworld.org/docid/575135464.html>, ბოლო ნახვა: 24.06.19.

¹² ECHR case of CHRISTIAN AGAINST FASCISM AND RACISM v. the UNITED KINGDOM, 1980, ხელმისაწვდომია: <http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-74286>, ასევე, იხ. Council of Europe/ECtHR, Article 11, The conduct of public assemblies in the Court’s case-law, 2013, § 9, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2f0i9Jr>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

¹³ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Yvb7UC>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

¹⁴ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/306HvNP>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

¹⁵ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2FH8uI7>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

დაექვემდებარა. აქციის მონაწილეები განმარტავენ¹⁶, რომ ერთ-ერთმა მონაწილემ მეგაფონის საშუალებით მანიფესტანტებს აცნობა, რომ მმართველი გუნდისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკება იმართებოდა და მოუწოდა მონაწილეებს დალოდებოდნენ შედეგებს. თუმცა, 23:22 საათზე აქციის მონაწილეების იგივე ნაწილი მოულოდნელად მიაწვა სპეცრაზმის კორდონს, მათი მისამართით ისროლა სხვადასხვა ნივთები და შეეცადა პარლამენტის ეზოში შეღწევას. ამავე დროს აქციის მონაწილეები სპეცრაზმს აღჭურვილობას, ფარებს, ხელკეტებს, ჩაფხუტებს ართმევდნენ და პარლამენტის თაღებქვეშ, სიღრმეში მიიწევდნენ. სპეცრაზმის პირველი ხაზი ამ მომენტისთვის ფარების მეშვეობით ცდილობდა აქციის მონაწილეთა შეჩერებას, ხოლო მეორე ხაზი ფარებისა და ხელკეტების მეშვეობით ხმაურის გამოწვევას.¹⁷ თუმცა, აქციის მონაწილეთა აგრესიული ნაწილი სამართალდამცავთა პირველი რიგებიდან პოლიციელების მათ სიღრმეში მოქცევას და საპოლიციო კორდონიდან მათ გამოთიშვას ახერხებდა. სპეცრაზმელების მხრიდან აქციის მონაწილეთა შეკავების მცდელობა 22:50 საათიდან 23:55 საათამდე პერიოდში რამდენიმე ეპიზოდად გაგრძელდა. 20 ივნისის 23:56 საათზე პოლიციამ აქციის დაშლის გადაწყვეტილება მიიღო და სპეცრაზმის წევრებმა ცრემლსადენი გაზი პირველად სწორედ ამ დროს, პარლამენტის შენობის საპირისპირო მხარეს, „თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის“ მიმართულებით ისროლეს.

აქციის დაშლის ოპერაცია რამდენიმე საათს მრავალ ეპიზოდად გაგრძელდა და თითოეულ ამ ეპიზოდს ინდივიდუალური შეფასება სჭირდება, როგორც შეკრების და მანიფესტაციის უფლების, ასევე ფიზიკური ხელშეუხებლობის და არასათანადო მოპყრობისგან დაცვის კონტექსტში. თუმცა, პირველ ეტაპზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შეფასდეს აქციის დაშლის თავდაპირველი გადაწყვეტილების კანონიერება. შეკრების თავისუფლებაში ჩარევა კანონიერების (არსებობდა თუ არა უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები), ლეგიტიმური მიზნის არსებობისა (ემსახურებოდა თუ არა ჩარევა კანონით განსაზღვრულ რომელიმე ლეგიტიმურ მიზანს) და ამ მიზნის მიღწევის საშუალებების პროპორციულობის ერთობლივი შეფასებით უნდა მოხდეს.

როგორც ითქვა, კონსტიტუცია და “შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ” კანონი კანონსაწინააღმდეგო ხასიათის შემთხვევაში უშვებს, შესაბამისი წესისა და პროცედურების დაცვით, აქციის შეწყვეტის შესაძლებლობას. ამასთან, კანონის თანახმად, შეკრება შეწყვეტას ექვემდებარება, როდესაც ადგილი აქვს მოწოდებას საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისაკენ ან ძალადობით შეცვლისაკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ან ისეთ მოწოდებას, რომელიც არის ომისა და **ძალადობის პროპაგანდა**, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს და ქმნის ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების **აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს**.¹⁸ ამდენად, კანონი დადგენილი ლეგიტიმური მიზნის არსებობის შემთხვევაში, შეკრების თავისუფლებაში ჩარევის სამართლებრივ შესაძლებლობას ქმნის.

რაც შეეხება, უფლებაში ჩარევის ლეგიტიმურ მიზანს - ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ-ჯერობით ოფიციალური პასუხი შინაგან საქმეთა სამინისტროდან და თბილისის მერიიდან მიღებული არ არის.

¹⁶ EMC-ის 2019 წლის 26 ივნისის სატელეფონო ინტერვიუ აქციის მონაწილე კოკი კილურაძესთან და ჟურნალისტ გიორგი გოგუასთან.

¹⁷ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Xj9eOg>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

¹⁸ „შეკრებებისა და მანიფესტაციების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

თუმცა, საჯაროდ ხელმისაწვდომი სხვა მასალების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ შეკრების თავისუფლებაში ჩარევის მიზანს პარლამენტში უკანონო შეღწევის და ამ პროცესში ძალადობის თავიდან არიდება წარმოადგენდა. 20 ივნისის აქციაზე, ღამის 21:50 საათიდან განვითარებული მოვლენები ცალსახად მიუთითებდა, რომ აქციის მონაწილეთა გარკვეული ნაწილი გავიდა მშვიდობიანი შეკრების ფარგლებიდან და პოლიციაზე ძალადობრივი იერიში მიიტანა. გასათვალისწინებელია, რომ დემონსტრანტთა ამ ჯგუფის ქმედება არ იყო ერთჯერადი და მათ მოკლე დროში რამდენიმეჯერ სცადეს პოლიციის კორდონის გარღვევა. ამის პარალელურად კი, ისინი სამართალდამცავთა პირველი რიგებიდან პოლიციელების მათ სიღრმეში მოქცევას და საპოლიციო კორდონიდან გამოთიშვას ახერხებდნენ, ასევე პოლიციას ართმევდნენ სპეც. აღჭურვილობას. ამასთან, ნათელი გახდა, რომ პარლამენტში შესვლის თაობაზე ნიკა მელიას მიერ გაკეთებული მოწოდების შემდგომ, დემონსტრანტთა ნაწილის საკანონმდებლო ორგანოში შეღწევის ეპიზოდური მცდელობები 21:50 საათიდან 23:55 საათამდე პერიოდში, ძალადობის აშკარა, მყისიერ და რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა. ამდენად, აქციის მონაწილეთა ნაწილის ქცევამ და რამდენიმე ეპიზოდიანმა ფიზიკურმა შეტაკებებმა პოლიციასთან, შეკრების და მანიფესტაციის უფლებაში ჩარევის საფუძველი გააჩინა.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, თუ შეკრებაში მონაწილე პირთა მხოლოდ მცირე ჯგუფი/ნაწილი არის ძალადობრივი, სამართალდამცავების მიერ შესაბამისი ზომები უნდა იქნას მიღებული, რათა კონკრეტულ ღონისძიებებს მხოლოდ ძალადობაში უშუალოდ მონაწილე პირები დაექვემდებარონ.¹⁹ 20 ივნისის დემონსტრაცია საკმაოდ ხალხმრავალი იყო. აქციის მშვიდობიანი მონაწილეების უდიდესი ნაწილი რუსთაველის ტერიტორიაზე რჩებოდა მაშინაც, როცა აქციის მონაწილეთა პირველი რიგები აქტიურად უტევდა პოლიციას. აქციის მონაწილეთა სრული რაოდენობის გათვალისწინებით, დემონსტრანტთა აგრესიული ნაწილი არ წარმოადგენდა უმრავლესობას. თუმცა, მათი განლაგება აქციაზე და ასევე მათი მხრიდან აგრესიული ქმედებების ინტენსივობა, შეიძლება ითქვას, რომ არსებითად მოქმედებდა მთლიანად აქციის მართვასა და მიმდინარეობაზე. პოლიციის და სპეცრაზმის მისამართით აგრესიული ქმედებების ფონზე, მაშინ როდესაც საპოლიციო რესურსი არსებითად თავდაცვისა და პარლამენტის ეზოს დაცვის რეჟიმზე იყო გადასული, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდებოდა საპოლიციო ნაწილების მხრიდან ათეულობით აგრესიული დემონსტრანტის იზოლირება და ამ გზით, მათი გარიდება აქციის ტერიტორიიდან, ისე რომ აქციის სხვა მონაწილეების მხრიდან მშვიდობიანი დემონსტრაციის გაგრძელება შესაძლებელი ყოფილიყო.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოლიციის ამ მცდელობას (დემონსტრანტთა ნაწილის დაკავებას) შესაძლოა აქციის სხვა მონაწილეების ჩართვაც გამოეწვია პოლიციასთან დაპირისპირებაში. საყურადღებოა ისიც, რომ აქციის ორგანიზატორების მხრიდან ასევე სუსტად გამოვლინდა შეკრების მშვიდობიან ბუნებაში დაბრუნების და დეესკალაციის მცდელობები. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციას აქვს ვალდებულება ხელი შეუწყოს აქციის მშვიდობიან რეჟიმში გაგრძელებას და ინდივიდუალურად იზოლაცია გაუკეთოს აქციის იმ მონაწილეებს, რომლებიც აგრესიულ ქმედებებს გამოხატავენ, 20 ივნისს, პარლამენტის წინ განვითარებული მოვლენები მიუთითებდა, რომ ვითარების

¹⁹ OSCE/ODIHR, Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, SECOND EDITION, §167, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xrAUBn>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

დამშვიდება ერთეული მანიფესტანტების დაკავებით ვერ ხერხდებოდა. აქედან გამომდინარე, 20 ივნისს ღამის 12 საათისთვის, პოლიციის მიერ აქციის დაშლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება ზემოთხსენებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევისთვის გამოსადეგი საშუალება იყო. თუმცა, საპოლიციო ღონისძიებების პროპორციულობაზე მსჯელობა მხოლოდ ამ ფაქტორით არ შემოიფარგლება. შეკრების თავისუფლებაში ჩარევის პროპორციულობისთვის ასევე მნიშვნელოვანია შეფასდეს რამდენად იყო დაცული აქციის დაშლისთვის დადგენილი სტანდარტები და გამოყენებული ადეკვატური საპოლიციო ძალა.

ბ) დაიცვეს თუ არა სამართალდამცავებმა აქციის დაშლის აუცილებელი წინაპირობები და წესები

შეკრების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის დადგენა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ავტომატურად შეკრების იძულებით შეწყვეტას და მონაწილეთა მიმართ სპეციალური საშუალებების გამოყენების დაწყებას.²⁰

საჯარო ცხოვრებაში მანიფესტაციის უფლების ფუნდამენტური მნიშვნელობის გამო, სახელმწიფოს ეკისრება მთელი რიგი პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებები იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს და არ დაუშვას მანიფესტაციის უფლებაში თვითნებური და უკანონო ჩარევა. ამ ვალდებულებების ნაწილია, მათ შორის ის, რომ ხელისუფლების შესაბამისმა ორგანოებმა უნდა მიმართონ ყველა აუცილებელ ზომას, inter alia, გამოიყენონ დიალოგის და მოლაპარაკების რესურსები, იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული შეკრების შეწყვეტა და სხვა თანმდევი შედეგები. შეკრებების დაშლა უნდა წარმოადგენდეს უფლების შეზღუდვის ბოლო საშუალებას.²¹ დაშლის შესახებ გადაწყვეტილება არ უნდა იქნას მიღებული, სანამ სამართალდამცავი უწყებები შეკრების უფლების უზრუნველყოფისა და ზიანის შემცირებისთვის ყველა გონივრულ ზომას არ მიიღებენ, იმ დრომდე, სანამ არ იარსებებს ძალადობის გარდაუვალი საფრთხე.²²

როგორც ცნობილია, 20 ივნისს აქციაზე ვითარების რადიკალიზაციის შემდგომ, პარლამენტის შენობაში რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირი მივიდა, მათ შორის, პრემიერ-მინისტრი²³ და შინაგან საქმეთა მინისტრი²⁴. 20 ივნისს და შემდგომ დღეებში, მათ შორის მედიაში გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ვითარების დეესკალაციის მიზნით, პარლამენტის შენობაში ხელისუფლების წარმომადგენლებს პოლიტიკურ ოპოზიციასთან შეხვედრა უნდა გაემართათ.²⁵ ამ ეტაპისთვის, უცნობია რა მიზნის და რა ფორმატის შეხვედრის ორგანიზების მცდელობა არსებობდა, ან/და რამდენად რეალური და საკმარისი იყო მოლაპარაკებებისთვის გაწეული ძალისხმევა. თუმცა, როგორც ცნობილია, საბოლოო ჯამში, აქციის დაშლამდე შეხვედრა და მოლაპარაკებები არ შედგა. ამ ეტაპისთვის, ასევე უცნობია ოპოზიციური პოლიტიკური ჯგუფების ლიდერების გარდა, ჰქონდა თუ არა შესაბამის ორგანოებს კომუნიკაცია აქციის სხვა ორგანიზატორებთან და ლიდერებთან. ფაქტობრივი ინფორმაციის არასაკმარისობის გამო, ამ ეტაპზე რთულია შეფასდეს, რამდენად იყო სრულად გამოყენებული და

²⁰ OSCE/ODIHR, Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, SECOND EDITION, §§ 165-166, ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/odihr/73405?download=true>, ბოლო ნახვა: 02.07.19

²¹ იქვე, §§ 165-166.

²² იქვე, §§ 165-166.

²³ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KS3yo0>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

²⁴ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RPliju>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

²⁵ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KS1Gvq>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

ამოწურული მოლაპარაკებების რესურსი. ამ კუთხით განსაკუთრებით ნიშანდობლივია, დაშლამდე რამდენიმე წუთით ადრე საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადება, რომელიც გამოიციხავდა სპეციალური საშუალებების გამოყენებით აქციის შეწყვეტას.²⁶

მას შემდეგ, რაც აქციის დაშლის გადაწყვეტილება იქნება მიღებული, სახელმწიფოს წარმომადგენლებმა უნდა დაიცვან კანონით დადგენილი მოთხოვნები, რაც უპირველესად შეკრების მონაწილეთა მიმართ აქციის შეწყვეტის მოწოდებას და ამისთვის გონივრული დროის მიცემას გულისხმობს. ეს ასევე, გულისხმობს შესაძლებლობას დემონსტრანტებმა მშვიდობიანად და უსაფრთხოდ დატოვონ აქციის ტერიტორია.

“შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ” კანონის მე-13 მუხლის თანახმად, კანონით გათვალისწინებული რიგი შეზღუდვების მასობრივი დარღვევის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს (მერიის) უფლებამოსილი წარმომადგენელი ვალდებულია, შეკრების მონაწილეებს მოუწოდოს შეკრების შეწყვეტისკენ, თავის მხრივ შეკრება მოწოდებისთანავე უნდა შეწყდეს. სამართალდამცავ ორგანოებს მხოლოდ მას შემდეგ აქვთ კანონით დადგენილი ზომების მიღების უფლებამოსილება, თუკი შესაბამისი პირის მხრიდან მოწოდება გაკეთებულია და აქციის მონაწილეები ამ მოწოდებას არ ემორჩილებიან.

რაც შეეხება, კანონით დადგენილი შეზღუდვების არამასობრივ დარღვევებს, ამ შემთხვევაში კანონმდებლობა შეკრების თავისუფლების დაცვის კიდევ უფრო მაღალ სტანდარტს ადგენს და შესაბამის/უფლებამოსილ პირს ავალდებულებს, გააფრთხილოს ორგანიზატორი და განუსაზღვროს დამატებით 15 წუთი შეკრების მონაწილეების გასაფრთხილებლად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შეკრების შეწყვეტა. მხოლოდ ამ ვადის ამოწურვის შემდგომ და მას მერე, რაც გაფრთხილების მიუხედავად არ იქნება შეკრება შეწყვეტილი, პოლიციას აქვს უფლებამოსილება შეკრების დაშლის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გაატაროს.²⁷

ეროვნული კანონმდებლობის მსგავსად, საერთაშორისო სტანდარტი ყურადღებას ამახვილებს შეკრების დაშლის აუცილებლობის შემთხვევაში, შეკრების ორგანიზატორებისა და მონაწილეებისთვის, წინასწარ და ნათლად, დაშლის შესახებ ინფორმაციის დეტალურად მიწოდების ვალდებულებაზე. მონაწილეებს უნდა მიეცეთ გონივრული დრო ნებაყოფლობით დაშლისათვის. მხოლოდ მას შემდეგ რაც მონაწილეები არ დაიშლებიან სამართალდამცავ ორგანოებს შეუძლიათ გამოიყენონ სპეციალური ზომები შეკრების დაშლის უზრუნველყოფისათვის.²⁸ შეკრების მონაწილეების მხრიდან აქციის დაშლის გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციის სათანადო საშუალებით და ფორმით გადაცემა შესაბამისი ორგანოების მხრიდან აქციის კანონიერი დაშლის აუცილებელი წინაპირობაა, რადგან ის შეკრების მონაწილეების მხრიდან გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების და ძალის გამოყენების მინიმუმიზაციის საფუძველს ქმნის.

²⁶ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RWc85I>, ბოლო ნახვა: 04.07.19.

²⁷ „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლი.

²⁸ OSCE/ODIHR, Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, SECOND EDITION, §168, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2yrcfhz>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

20 ივნისის აქციის მიმდინარეობის შესახებ მედია საშუალებებში²⁹ გავრცელებული ინფორმაციისა და უშუალოდ შეკრების მონაწილეთა განმარტებებით³⁰ ირკვევა, რომ სამართალდამცავებმა არ დაიცვეს კანონით დაწესებული სავალდებულო გაფრთხილების მოთხოვნა. შეკრების მონაწილეებისთვის გასაგები და აღქმადი ფორმით შეკრების კანონსაწინააღმდეგო ხასიათის და მისი დაუყოვნებლივ შეწყვეტის საჭიროების შესახებ მოწოდება არ გაკეთებულა. პოლიციამ აქციის დაშლის მიზნით, შესაბამისი გაფრთხილების გარეშე, პირდაპირ სპეციალური საშუალებების გამოყენება დაიწყო. სწორედ პოლიციის ამ ქმედებამ გახადა ცხადი, აქციის სხვა, მშვიდობიანი მონაწილეებისთვის, რომ შესაბამისმა ორგანოებმა აქციის დაშლის გადაწყვეტილება მიიღეს.

მიუხედავად იმისა, შეკრების მონაწილეთა მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონის მოთხოვნების ერთდროულ/მასობრივ თუ ინდივიდუალურ და არამასობრივ დარღვევებს, კანონი ყველა შემთხვევაში უპირობოდ მოითხოვს წინასწარი გაფრთხილების/მოწოდების გაკეთებას. ამ მოწოდების მიზანი ზიანის და მძიმე შედეგების მინიმიზაციაა, მათ შორის, აქციის მშვიდობიან მონაწილეებში.

როგორც აღინიშნა, შეკრების შეწყვეტის დაწყებამდე (ანუ დაახლოებით 20 ივნისის ღამის 12 საათამდე) სამართალდამცავების მხრიდან, ადგილზე, აქციის მონაწილეთა მიმართ რაიმე მოწოდება აქციის შეწყვეტის თაობაზე არ გაკეთებულა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური ვებ-გვერდის მეშვეობით გაავრცელა განცხადება და შეკრების მონაწილეებს ძალადობრივი ქმედებების შეწყვეტისკენ მოუწოდა³¹, ხოლო თბილისის მერმა, კახა კალაძემ, მედიის საშუალებით განაცხადა, რომ აქცია გასცდა გამობატვის თავისუფლების ფარგლებს, მიიღო ანტიკონსტიტუციური ხასიათი და მშვიდობიან მონაწილეებს განუცხადა, რომ სამართალდამცავი ორგანოები შესაბამისად იმოქმედებდნენ.³²

ცხადია, რომ შსს-სა და მერიის მიერ ვებ-გვერდზე და მედიაში გავრცელებული განცხადებები შეკრების მონაწილეთა მიმართ გაკეთებულ მოწოდებად/გაფრთხილებად არ შეიძლება განვიხილოთ, რამდენადაც უფლებამოსილ პირს უშუალოდ რუსთაველის გამზირზე, აქციის მონაწილეებისთვის არ მიუმართავს და უშუალოდ მათ წინაშე არ გაუჟღერებია მოთხოვნა აქციის შეწყვეტის შესახებ და არდაშლის შემთხვევაში, საპოლიციო საშუალებების გამოყენების შესახებ. მაღალი თანამდებობის მქონე პირების განცხადებები ბუნებრივად შეიცავდა რისკს, რომ შეკრების მონაწილეები ვერ მოისმენდნენ და ვერ გაითვალისწინებდნენ უფლებამოსილი პირების მოთხოვნებს. შესაბამისად, გაკეთებული განცხადებები კანონით განსაზღვრული გაფრთხილების ვალდებულების შესრულებად ვერ ჩაითვლება. ამდენად, უნდა ითქვას, რომ პოლიციამ არ დაიცვა აქციის დაშლის კონტექსტში კანონით დადგენილი აუცილებელი წინაპირობები.

გ) იყო თუ არა აქციის დაშლისთვის გამოყენებული საპოლიციო ძალა და საშუალებები კანონიერი, პროპორციული და ამდენად, ლეგიტიმური

²⁹ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xqoHg9>, <https://bit.ly/2Lz2lkL>, <https://bit.ly/2J6nVf9>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

³⁰ EMC-ის მიერ გამოკითხული 20 ივნისის აქციის ყველა მონაწილე უარყოფს პარლამენტთან რაიმე ეტაპზე სამართალდამცავთა მხრიდან აქციის დაშლისა და ტერიტორიის დატოვების თაობაზე სიტყვიერი გაფრთხილების არსებობას.

³¹ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XnMFrO>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

³² ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KTuRyi>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს ადამიანის უფლებების ბაზისურ სტანდარტებს, როდესაც ახორციელებს ძალის გამოყენებას საპოლიციო ოპერაციებისას, მათ შორის კანონიერი თუ უკანონო დემონსტრაციების დაშლისას. აღნიშნული ვალდებულებები გაწერილია „გაეროს საბაზისო პრინციპებში სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ“.³³ საბაზისო პრინციპები უთითებს, რომ სამართალდამცავი ორგანოები ფლობენ ვალდებულებას, რამდენადაც შესაძლებელია, გამოიყენონ მხოლოდ არაძალადობრივი მეთოდები.

საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით, მაშინაც კი როდესაც შეკრება მიიჩნევა უკანონოდ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, სამართალდამცავმა უწყებებმა არ უნდა გამოიყენონ ძალა, მხოლოდ მისი უკანონობის გამო³⁴. ძალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მყარი მიზეზების არსებობისას - საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და დანაშაულის პრევენციისთვის.³⁵

OSCE/ODIHR-ის სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით, სახელმწიფომ უნდა შეიმუშავოს ძალის პროპორციული და დიფერენცირებული გამოყენების საშუალებები, რაც გულისხმობს სამართალდამცავი პირების არალეტალური იარაღით აღჭურვას. ამასთან, სამართალდამცავი პირები უნდა აღიჭურვონ თავდაცვის საშუალებებით, როგორცაა ჩაფხუტები, ცეცხლგამძლე სამოსი, ტყვიაგაუმტარი ჟილეტები და ადეკვატური ტრანსპორტი. აღნიშნული თავდაცვის აღჭურვილობის მთავარი მიზანია მანიფესტანტების წინააღმდეგ ძალის გამოყენების საჭიროების მინიმუმდე დაყვანა.³⁶

მიუხედავად იმისა, რომ ძალის გამოყენება ხშირად აუცილებელია პოლიციის მხრიდან - დანაშაულის თავიდან აცილების ან დამნაშავეთა და სავარაუდო დამნაშავე პირთა დასაკავებლად, აღნიშნული უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ძალის გამოყენება წარმოადგენდეს საგამონაკლისო ზომას, რომელიც არ უნდა იქნას გამოყენებული თვითნებურად, უნდა იყოს საფრთხის პროპორციული, მიმართული ზიანის შემცირებასა და მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც საჭიროა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.³⁷

20 ივნისს, პარლამენტის ტერიტორიაზე, საღამოს ათი საათის შემდეგ, მომიტინგეთა გარკვეული ჯგუფის პარლამენტის შენობაში შესვლის შეკავება პოლიციამ 23:55 წუთამდე აქტიური ძალის გამოყენების გარეშე მოახერხა. მანამდე, რამდენიმე შემთხვევაში შეკრების მონაწილეები პარლამენტის კიბესთან განლაგებულმა სპეცრაზმმა დააკავა. ზოგიერთი დაკავებულის მიმართ პოლიციის მხრიდან ადგილი ჰქონდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას.³⁸ აქციის მონაწილეთა მხრიდან გამოვლენილი ქმედებების საპასუხოდ 23:56 საათზე სპეცრაზმის წევრებმა ცრემლსადენი გაზი გაუშვეს. იმ

³³ Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials, Adopted by the Eighth United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders, Havana, Cuba, 27 August to 7 September 1990, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2MJtcs9>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

³⁴ Amnesty International, Use of Force: Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials, 7 September 2015, Guideline No.7, გვ. 147-148, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xrAUBn>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

³⁵ Inter-American Commission on Human Rights, Report on the situation of human rights defenders in the Americas, 2006, § 68.

³⁶ OSCE/ODIHR, Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, SECOND EDITION, §172, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2yrcfhz>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

³⁷ OSCE Guidebook on Democratic Policing (2008): Use of Force § 68.

³⁸ 20 ივნისის აქციის მონაწილეთა EMC-სთვის მიცემული ახსნა-განმარტებები.

დროისთვის აქციაზე მყოფი ჟურნალისტი გიორგი გოგუა განმარტავს, რომ ცრემლსადენი გაზი პოლიციამ „თანამედროვე ხელოვნების მუზეუმთან“, პარლამენტისგან შორს მდგარი მონაწილეებისკენ ისროლა, რისი მიზანიც პარლამენტის შენობაში შესვლის მსურველი მომიტინგეებისგან მიმდებარე ტერიტორიის გათავისუფლება უნდა ყოფილიყო, თუმცა სრულიად გაუგებარი და გაუმართლებელია, რომ ცრემლსადენი გაზის გამოყენებას მალევე, დაახლოებით 20 წუთში, რეზინის ტყვიების სროლა მოყვა.³⁹ უკვე 00:13 საათზე, ცრემლსადენ გაზთან ერთად აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ კინეტიკური სიმძლავრის ჭურვების, ე. წ. რეზინის ტყვიების გამოყენება დაიწყო.⁴⁰ რეზინის ტყვიებით დაზიანებულ მოქალაქეთა კადრები მედიასაშუალებით უკვე 00:14 საათისთვის გავრცელდა. აქციაზე მყოფი პირების განმარტებებით, რეზინის ტყვიები სამართალდაცავთა მიერ ძირითადად მაშინ გამოიყენებოდა, როდესაც ისინი მათ სიახლოვეს მიდიოდნენ და სროლა მოქალაქეთა მიმართ მიზანმიმართულ ხასიათს ატარებდა.

შეკრების დაშლის პირველი მცდელობიდან დაახლოებით 30-40 წუთის შემდგომ, 21 ივნისს, აქციის მონაწილეები კვლავ იწყებენ მიბრუნებას პარლამენტის შენობასთან თავისუფლების მეტროს მიმდებარე ტერიტორიებიდან⁴¹. სამართალდამცავები მონაწილეთა წინააღმდეგ კვლავ რეზინის ტყვიებს იყენებენ. ცალკეულ მომენტებში ჩანს, რომ სპეცრაზმელები დამიზნებით, პირდაპირ ესვრიან მონაწილეებს. სამართალდამცავები დამიზნებით რეზინის ტყვიებს ესროდნენ მათ შორის იმ დემონსტრანტებს, რომელთაგან კონკრეტულ მომენტში ძალადობის საფრთხე არ მომდინარეობდა და პოლიციელთა ეს ქცევა მთელი ღამის განმავლობაში გაგრძელდა.⁴²

პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე მონაწილეთა ნაწილი 00:30 საათიდან ხელახლა შეიკრიბა, მოგვიანებით კი, დაახლოებით 01:28 საათიდან დემონსტრანტთა და სამართალდამცავთა შორის სიტუაცია კვლავ დაიძაბა.⁴³ სპეცრაზმმა კვლავ აქტიურად გამოიყენა რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი. ამის მიუხედავად, აქციის მონაწილეების კონკრეტულმა ჯგუფმა განაგრძო წინააღმდეგობის გაწევა, შეტაკებებმა პირველი სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაინაცვლა. აქციის მონაწილეებმა ადგილზე რკინის კონსტრუქციები მიიტანეს და სპეცრაზმის წევრებს ურტყამდნენ⁴⁴. ამ დროისთვისაც, სამართალდამცავებმა ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები გამოიყენეს. აქციის მონაწილეთა რამდენიმე ძლიერი წინააღმდეგობის შემდგომ, რუსთაველის გამზირზე 01:45 საათზე წყალსატყორცნი ავტომობილი გამოჩნდა და მხოლოდ ამ ეტაპიდან დაიწყო წყლის ჭავლის გამოყენება.⁴⁵

სპეციალური საშუალებების გამოყენების მიუხედავად, სამართალდამცავებს აქციის მონაწილეები კვლავ წინააღმდეგობას უწევდნენ, ხოლო ვიდეომასალის ანალიზით დგინდება, რომ დაახლოებით დილის ხუთის ნახევრამდე აქციის მონაწილეები რამდენჯერმე დაბრუნდნენ პარლამენტის წინა

³⁹ ამას ადასტურებს ჟურნალისტი გურამ მურადოვის ახსნა-განმარტებაც, რომელიც ერთ-ერთი პირველი დაზიანდა რეზინის ტყვიების გამოყენების შედეგად.

⁴⁰ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KU9lCu>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁴¹ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2LyvFrB>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁴² ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/327IzmC>, <https://bit.ly/2YxJ6fq>, <https://bit.ly/2ZZ0dHc>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁴³ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XrmXCG>, ბოლო ნახვა: 04.07.19.

⁴⁴ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Yul87I>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁴⁵ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xruK44>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

ტერიტორიაზე, რასაც სამართალდამცავებმა კვლავ ცრემლსადენი გაზით და რეზინის ტყვიებით უპასუხეს.

შეკრების თავისუფლებისა და შეკრების დაშლის სტანდარტების თვალსაზრისით, პოლიციის მოქმედებები პრობლემური იყო რამდენიმე საკითხი, მათ შორის:

- 20 ივნისის აქციის მართვისას მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ სამართალდამცავ ორგანოებს აშკარად არ ჰქონდათ ეფექტიანი და გონივრული გეგმა ან სტრატეგია აქციის მონაწილეთა ქცევის კონტროლისა და ვითარების დეესკალაციისთვის. აქციაზე შეკრებილი ადამიანების დიდი მასის მართვას პოლიცია სპეციალური საშუალებების გამოყენებით ცდილობდა, რამაც რამდენიმე საათის განმავლობაში ვერ შეძლო ვითარების განმუხტვა. მსგავს შემთხვევაში, სათანადო გეგმის შემუშავებისა და სამართალდამცავი უწყებებისთვის მიწოდების პასუხისმგებლობა ხელისუფლების უფლებამოსილ პირებს გააჩნდათ, თუმცა EMC ამ დრომდე არ ფლობს ინფორმაციას იყო თუ არა პასუხისმგებელი პირების მხრიდან განხორციელებული რაიმე მითითება სამართალდამცავების მიმართ;
- პოლიციას არ გააჩნდა ზედმიწევნითი, გონივრული და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული გეგმა, რომელიც აქციის შეწყვეტის გადაწყვეტილების აღსრულებას ლეგიტიმურ მიზნებში დატოვებდა და ძალის გადამეტების მაქსიმალურ პრევენციას მოახდენდა. აქციის დაშლის პირველი ეტაპის შემდეგ, შეკრების ტერიტორიის გარეთ პოლიციის ძალადობრივი ქცევები მასობრივ ხასიათს ატარებდა. გაუგებარია ამგვარ ქცევას დაუყოვნებლივ რატომ არ მოყვა შესაბამისი რეაგირება და მითითებები გადაწყვეტილებების მიმღები მაღალი თანამდებობის პირების მხრიდან; შეკრების დაშლის ანალიზი აჩვენებს, რომ პოლიციელების ქცევა არ ექვემდებარებოდა შიდა მონიტორინგს და მათი ძალადობრივი ქცევის სათანადო კონტროლი და აღკვეთა არ ხდებოდა;
- განსაკუთრებით პრობლემურია, ცრემლსადენის გაზის გაშვებიდან რამდენიმე წუთში რეზინის ტყვიების გამოყენების დაწყება. პოლიციის ქმედებები აჩვენებდა, რომ დემონსტრანტთა მიმართ ცრემლსადენი გაზის გამოყენების შემდეგ, დროულად და სისტემურად ვერ შეფასდა აქციის მონაწილეთაგან მომდინარე საფრთხეების შესაძლო ცვლილება, მათ შორის, ახალ რეალობაში პარლამენტის შენობაში შეჭრის თავდაპირველი განზრახვის რეალურობა და მყისიერება და ამის მიხედვით არ დაიგეგმა სპეციალური საშუალებების შემდგომი გამოყენების საჭიროება;
- აქციის პირველი დაშლის შემდეგ შეკრების მონაწილეების წინააღმდეგობა პოლიციასთან ზოგიერთ შემთხვევაში თავად პოლიციის ძალადობრივი ქცევით იყო პროვოცირებული და შეკრების თავისუფლების შეფასების დროს ეს აუცილებლად გასათვალისწინებელი ელემენტია;
- პრობლემა იყო სპეციალური საშუალებების, განსაკუთრებით რეზინის ტყვიების, არადიფერენცირებული გამოყენება. არაერთ შემთხვევაში ჩანს, რომ პოლიცია რეზინის ტყვიებს იყენებს მაშინ და იმ დემონსტრანტების მიმართ, რომელთა მხრიდანაც კონკრეტულ მომენტში ძალადობის/თავდასხმის რეალური საფრთხე არ მომდინარეობს;

- განსაკუთრებული პრობლემა იყო რეზინის ტყვიების გამოყენება მოკლე დისტანციიდან, სახისა და თავის არეში დამიზნებით, რამაც არაერთი დემონსტრაციის ჯანმრთელობის მძიმე და ზოგ შემთხვევაში გამოუსწორებელი დაზიანება გამოიწვია.

სპეციალური საშუალებების გამოყენების კანონიერების და პროპორციულობის საკითხის შეფასება

“პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლით დადგენილია, რომ საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად შესაძლოა გამოიყენონ სპეციალური საშუალებები, მათ შორის სხვადასხვა ტიპის გაზი, წყალსატყორცნი, აკუსტიკური მოწყობილობა, არალეტალური იარაღი და სხვა.

ცხადია, თითოეული სპეციალური საშუალების გამოყენების აუცილებლობა ყველა კონკრეტულ მომენტში უნდა შეფასდეს და სამართალდამცავები ვალდებული არიან გამოიყენონ გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას⁴⁶. განსახილველ შემთხვევაში, განსაკუთრებულ კრიტიკას იწვევს სამართალდამცავთა მიერ ცრემლსადენი გაზის გაშვებიდან რამდენიმე წუთში რეზინის ტყვიების გამოყენება, როდესაც ჯერ კიდევ არ არის ამოწურული ნაკლებად დამაზიანებელი საშუალებების, მათ შორის წყლის ჭავლის, გამოყენების რესურსი.

Amnesty International-ის სახელმძღვანელო დოკუმენტის მიხედვით, პოლიციის მიერ ნებისმიერი ლეტალური იარაღის მიღმა სხვა ძალის ფორმა რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს სიკვდილი ან არსებობს მაღალი რისკი, რომ გამოიწვევს სიკვდილს - უნდა დაექვემდებაროს პროპორციული ძალის გამოყენების პრინციპის საფუძველზე არსებულ ისეთივე მკაცრ მოთხოვნებს, როგორც ლეტალური იარაღის გამოყენებისას. შესაბამისად, სპეციალური ზომების გამოყენება დასაშვებია უკიდურეს შემთხვევებში, სიკვდილისა და ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი ზიანის თავიდან ასარიდებლად.⁴⁷

ამასთან, შეკრებების დაშლისას დიფერენცირების პრინციპის დაცვა არსებითი მნიშვნელობისაა. შეკრების მონაწილეები არ წარმოადგენენ ჰომოგენურ ჯგუფს, მათი დიფერენცირების მთავარ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს არა ის, თუ რა ჯგუფს მიეკუთვნებიან, არამედ - როგორ მოქმედებენ. შესაბამისად, ძალადობის საპასუხოდ პოლიციის მიერ ძალის გამოყენებისას, სამართალდამცავებმა უნდა განასხვავონ ერთმანეთისგან ინდივიდები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულები ძალადობრივ ქმედებებში და ის ინდივიდები, რომლებიც არ არიან ძალადობრივები. პროპორციული

⁴⁶ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლი.

⁴⁷Amnesty International, Use of Force: Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials, short version, 2016, გვ. 24, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/32841HM>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

საპოლიციო ძალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მათ წინააღმდეგ, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულები ძალადობრივ ქმედებებში.⁴⁸

გაეროს საპარლამენტო ასამბლეის ანგარიშის მიხედვით **ნებისმიერი იარაღი, მათ შორის არალეტალური ან ნახევრად ლეტალური, შეიძლება გახდეს სასიკვდილო თუ ის კონკრეტული ფორმით/მეთოდით იქნება გამოყენებული.**⁴⁹ გაეროს საბაზისო პრინციპების მიხედვით, „არალეტალური იარაღის გამოყენება, რომელიც იწვევს დროებით შრომისუუნარობას, უნდა იქნას მაქსიმალური სიფრთხილით შეფასებული, რათა არ მოხდეს [ძალადობრივ ქმედებაში/არეულობაში] მშვიდობიანი დემონსტრანტის (Bystander) საფრთხეში ჩაგდება, ხოლო იარაღის გამოყენება ასევე ყურადღებით უნდა იქნას გაკონტროლებული.“⁵⁰

მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა შესაძლოა შეკრებებისას არალეტალური იარაღი გამოიყენონ, მისმა გამოყენებამ შესაძლოა მაინც დაარღვიოს ადამიანის სიცოცხლის უფლება, ასევე შეკრების თავისუფლება და წამებისა და არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვის პრინციპი. აღნიშნულ უფლებათა დარღვევას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ცრემლსადენი გაზის, წყლის ჭავლისა და რეზინის ტყვიების გამოყენებისას.⁵¹

ევროსასამართლომ კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევა დაადგინა საქმეზე Ter-Petrosyan v. Armenia⁵², რომელიც შეეხებოდა 2008 წელს სომხეთში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების საპასუხო დემონსტრაციის ოპოზიციური პარტიის მხრიდან, რასაც დემონსტრანტთა დაშლა და დაკავება მოყვა. ევროპული სასამართლოს მსჯელობის მიხედვით დემონსტრაცია, რომელიც პოლიციის მიერ არასაკმარისი დასაბუთებითა და გარკვეულწილად საეჭვო გარემოებებში მოხდა, კერძოდ კი არ განხორციელებულა დაშლის შესახებ სათანადო გაფრთხილება და ადგილი ჰქონდა ძალის გადაჭარბებულ და გაუმართლებელ გამოყენებას, არაპროპორციული იყო და გაცდა გონივრულობის იმ ფარგლებს, რომელშიც მოქმედება ევალებათ სახელმწიფოებს.⁵³

ამასთან, არალეტალური იარაღის პოტენციური ლეტალურობიდან გამომდინარე, 2014 წელს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მოუწოდა სახელმწიფოებს რომ აუცილებლად უზრუნველყნონ „არალეტალური იარაღის აუცილებელი, დამოუკიდებელი, სრული და მეცნიერული ტესტირება მის

⁴⁸ Amnesty International, Use of Force: Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials, 7 September 2015, Guideline No.7, გვ.148, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xrAUBn>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁴⁹ PACE, Committee on Legal Affairs and Human Rights, Urgent need to prevent human rights violations during peaceful protests, Doc. 14060, 10 May 2016, §§ 70-71, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xoSWEf>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁵⁰ Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials, 1990, პრინციპი 3, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2MJtcs9>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁵¹ PACE, Committee on Legal Affairs and Human Rights, Urgent need to prevent human rights violations during peaceful protests, Doc. 14060, 10 May 2016, § 54, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xoSWEf>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁵² Case of Ter-Petrosyan v. Armenia, Application no. [36469/08](https://bit.ly/2Yrq8qD), 2019, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Yrq8qD>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁵³ იქვე, § 64.

გამოყენებამდე, რათა მოხდეს მისი შესაძლო ლეტალობის გამომწვევი რისკებისა და ზიანის ფორმების გაზომვა, შესაბამისი ტრენინგისა და ამ იარაღების ადეკვატური გამოყენებისთვის.⁵⁴

საერთაშორისო სტანდარტი ასევე ადგენს არალეტალურ/ნაკლებად ლეტალური იარაღების გამოყენების დეტალურ ინსტრუქციებს, მათ შორისაა:

ა) წყლის ჭავლის და ცრემლსადენი გაზის გამოყენება (ქიმიური გამლიზიანებლები)

ის საშუალებები რომელიც დიფერენცირების საშუალებას არ იძლევა და ზიანის მიყენების მაღალ საფრთხეებს წარმოშობს, როგორცაა **ცრემლსადენი გაზი ან წყლის ჭავლი**, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს გამოყენებული, როდესაც ადგილი აქვს მასობრივ ძალადობას და აღნიშნული საშუალებები მათ დასაშლელად გამოიყენება, თუმცა ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა სხვა საშუალებამ ვერ შეძლო ძალადობის შეკავება.

ამასთან, არსებითი მნიშვნელობისაა, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მანიფესტანტებს აქვთ დაშლის შესაძლებლობა და არა მაშინ, როდესაც ისინი შეზღუდულ სივრცეში იმყოფებიან, სხვა გზები კი, სადაც პოტენციურად გაქცევა შეუძლიათ, გადაკეტილია. ყურადსაღებია, რომ შეკრების მონაწილეები წინასწარ უნდა გააფრთხილონ აღნიშნული მეთოდის გამოყენების შესახებ, რის შემდეგაც მათ უნდა მიეცეთ საშუალება თავისუფლად დატოვონ შეკრების ადგილი.⁵⁵ ამ დროისთვის არსებული ინფორმაცია მიუთითებს, რომ 20 ივნისის ღამით, პარლამენტის წინ წყლის ჭავლის მანქანის გამოჩენისას, დემონსტრანტებს ჰქონდათ სივრცე/შესაძლებლობა ტერიტორიის დასატოვებლად და გასასვლელები პოლიციის მიერ არ იყო გადაკეტილი.

ბ) კინეტიკური სიმძლავრის ჭურვები

გაეროს საბაზისო პრინციპების განმარტებითი სახელმძღვანელოს მიხედვით⁵⁶, ნაკლებად სასიკვდილო იარაღად მიიჩნევა კინეტიკური სიმძლავრის ჭურვები, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება საჯარო შეკრებების კონტროლისას. როგორც წესი ის რეზინის ტყვიების, პალსტმასის ტყვიებისა და რეზინის ბურთების სახით, სხვადასხვა ზომით, ფორმითა და მასალით არსებობს.

აღნიშნული სახელმძღვანელოს მიხედვით, კინეტიკური სიმძლავრის ჭურვების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ როგორც საშუალება ინდივიდის შესაჩერებლად, რომელიც უშუალოდ არის ჩართული ძალადობრივ ქმედებაში სხვა პირის წინააღმდეგ. „ის არ უნდა იქნას გამოყენებული როგორც ზოგადი საშუალება შეკრებაზე მყოფი ხალხის მასის დასაშლელად, მათ შორის, აღნიშნული აირადიდან უმისამართო, ზოგადი სროლის საშუალებით.“⁵⁷

⁵⁴ Geneva Academy of International Humanitarian Law and Human Rights, „Use of Force in Law Enforcement and the Right to Life: The Role of the Human Rights Council“, November 2016, გვ.26, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Xnapw6>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁵⁵ Amnesty International, Use of Force: Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials, 7 September 2015, გვ. 156-159, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xrAUBn>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁵⁶ Amnesty International, Use of Force: Guidelines for Implementation of the UN Basic Principles on the Use of Force and Firearms by Law Enforcement Officials, 7 September 2015, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xrAUBn>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁵⁷ იქვე, გვ. 157.

აღნიშნული საშუალებების გამოყენება უმისამართო და შემთხვევითი სროლოთ წარმოშობს ჯანმრთელობის დაზიანების მნიშვნელოვან რისკებს, განსაკუთრებით მაშინ როცა ის პირს თავში ან სხეულის ზედა ნაწილში ხვდება. შესაბამისად, ზიანის შესამცირებლად, როგორც წესი, ის უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ სხეულის ქვედა ნაწილზე⁵⁸ (გარდა სიცოცხლისათვის არსებული იმწუთიერი საფრთხის არსებობისას). ასევე დაუშვებლად მიიჩნევა, მისი მიწაზე დამიზნება, რადგანაც ასხლეტისას ჭურვი სიზუსტეს კარგავს და შესაძლოა გაზარდოს სხვა პირზე მისი უმისამართოდ მოხვედრის რისკი.⁵⁹

Human Rights Watch-ის ანალიზის მიხედვით, რომელიც 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის მონაწილეების დარბევას შეეხებოდა აღნიშნულია, რომ „რეზინის ტყვიების ახლო მანძილიდან სროლა დემონსტრანტების ზურგზე დამიზნებით, რომელთა დიდი ნაწილი დაშლას ცდილობდა [...] მიუთითებდა, რომ სამართალდამცავ პირთა მიზანი იყო არამხოლოდ დემონსტრანტების დაშლა, არამედ მათი დასჯა მანიფესტაციაში მონაწილეობისთვის და მათი სამომავლო წინააღმდეგობის შეკავება.“⁶⁰

20-21 ივნისის აქციაზე სამართალდამცავთა მიერ რეზინის ტყვიების სროლა, ხსენებული საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი წესების უგულვებელყოფით, ნაკლებად დამაზიანებელი საშუალებების გვერდის ავლით, არადაღნიშნულებისამებრ - მშვიდობიანი დემონსტრანტების წინააღმდეგ და რეზინის ტყვიების გამოყენებისთვის განსაზღვრული ინსტრუქციების აშკარა დარღვევით - მოკლე მანძილზე და დამიზნებით იქნა გამოყენებული.⁶¹ შედეგად, პოლიციამ აქციის დაშლის სტრატეგიის დაგეგმვის, სპეციალური საშუალებების შერჩევისა და შემდგომში, სპეციალური საშუალებების გამოყენების პროცესში დაარღვია პროპორციულობის პრინციპი და დემონსტრანტთა მიმართ გადამეტებული საპოლიციო ძალა გამოიყენა. მსგავსი არასათანადო მოპყრობის მასობრიობა და ინტენსივობა პოლიციის ქცევას ლეგიტიმურობას აცლის და შეკრების მონაწილეებისთვის ტკივილის მიყენების და დასჯის გაუმართლებელი მიზნის შესახებ ეჭვებსაც აჩენს.

შეკრების მონაწილეთა მიდევნება და უკანონო დაკავების პრაქტიკა

20 ივნისის მოვლენების შეფასებისას განსაკუთრებით საყურადღებოა ის ეპიზოდები, რომელიც პარლამენტიდან მოშორებით გვიან ღამით და გამთენიისას განვითარდა. პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიის დაკავების შემდეგ, საპოლიციო დანაყოფებმა გადაადგილება დაიწყეს რუსთაველის მეტროს მიმართულებით. სწორედ ამ მიმართულებით წავიდა აქციის მონაწილეთა ძირითადი ნაწილი აქციის დაშლის შემდგომ. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ ბუნდოვანია რა განზრახვით მოძრაობდა პოლიცია, რა იყო დემონსტრანტთა მიდევნების მიზანი და კონკრეტულად ტერიტორიის რა ნაწილის

⁵⁸ იქვე.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ Human Rights Watch, Crossing the Line, Georgia's Violent Dispersal of Protestors and Raid on Imedi Television, December 19, 2007, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Xk0Yxz>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁶¹ გამოყენებული რეზინის ტყვიების სპეციფიკაციების, მათი შესყიდვისა და მარეგულირებელი პროტოკოლების შესახებ EMC აგრძელებს ინფორმაციის მოპოვებას და დამუშავებას.

გათავისუფლება ჰქონდა დაგეგმილი პოლიციას დემონსტრანტებისგან. უცნობია აქციის დაშლის ბრძანების შინაარსი, სადაც ნათლად უნდა ყოფილიყო მითითება გაკეთებული პარლამენტის მიმდებარედ რა ტერიტორიის გათავისუფლება ევალებოდა პოლიციას. პარლამენტის წინ აქციის დაშლის გადაწყვეტილებას კონკრეტული დროის ინტერვალში და კონკრეტულ სივრცეში უნდა ემოქმედა. ლოგიკურია, რომ პარლამენტის დაცვის და ძალადობის პრევენციის არგუმენტი მოქმედებდა პარლამენტის წინ შექმნილ მძიმე კონტექსტში, თუმცა ეს არგუმენტი ასეთივე რელევანტური ვერ იქნებოდა რუსთაველის გამზირზე, მელიქიშვილსა და სხვა მიმდებარე ტერიტორიებზე განხორციელებული საპოლიციო მოქმედებებისთვის.

პრობლემურია, რომ ნათელი განმარტება და მოწოდება პოლიციის მხრიდან არ გაკეთებულა იმ ჯგუფებისთვის, რომლებმაც აქციის დაშლის შემდეგ დატოვეს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია და რუსთაველის გავლით მელიქიშვილისკენ გადაადგილდებოდნენ. მათთვის განჭვრეტადი და ცხადი არ ყოფილა რა ტერიტორიის გათავისუფლებას ითხოვდა პოლიცია ან კონკრეტულად რა ლოკაციაზე ყოფნა ჩაითვლებოდა კანონდარღვევად და პოლიციის მოთხოვნის შეუსრულებლობად.

ამ კონტექსტში განსაკუთრებით პრობლემური იყო მომიტინგეთა დაკავების პრაქტიკები, მისი მასობრივი და არაინდივიდუალური ხასიათის გამო. 21 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით⁶², პოლიციის თანამშრომლებმა აქციის 305 მონაწილე სხვადასხვა სამართალდარღვევის ჩადენისთვის დააკავეს. მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ სამართალდამცავი ორგანო დაკავებულ მომიტინგეებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებულ წვრილმან ხულიგნობას და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას ედავებოდა.

მომიტინგეთა დაკავებები თავდაპირველად, პარლამენტთან აქციის წინა რიგებში გარკვეული ჯგუფის მიერ პარლამენტის შენობაში შესვლის პირველი მცდელობიდან მალევე, 23:00 საათისთვის მოხდა. დაკავებების შემდეგი ტალღა, ღამის 2 საათზე თავისუფლების და პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ყველაზე ინტენსიურად კი, 04:00 საათიდან კი - რუსთაველის მეტროს და მელიქიშვილის გამზირის მიმდებარე ტერიტორიიდან პოლიციამ მასობრივად დაიწყო.

შეკრების ერთ-ერთი მონაწილე - კოკა კილურაძე განმარტავს⁶³, რომ იგი აქციაზე 23:00 საათიდან იმყოფებოდა. პარლამენტის წინა რიგებში მდგარი დესტრუქციული მონაწილეების მხარეს, პარლამენტის კიბისკენ ინტერესის გამო მივიდა. მისი განმარტებით, სპეციალური დანიშნულების რაზმს ფარების გახსნით დაკავებული მოქალაქეები პარლამენტის ეზოში შეყავდათ. კილურაძე თავადაც ამგვარად მოხვდა პარლამენტის ეზოში, სადაც სპეცრაზმს კორიდორი ჰქონდა მოწყობილი. დაკავებული დემონსტრანტები ამ კორიდორში შეყავდათ, სადაც სპეცრაზმელები მომიტინგეებს სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ. კილურაძის განმარტებით, პარლამენტის ეზოში რამდენიმე ავტობუსი იდგა, სადაც დაკავებულებს ათავსებდნენ. დაკავებული მომიტინგეების მხრიდან სამართალდამცავთა შეურაცხყოფის შემთხვევაში, პოლიციელებს ეს პირები ავტობუსიდან ჩაჰყავდათ და სცემდნენ.

⁶² ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2KSsqvP>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁶³ EMC-ის 2019 წლის 26 ივნისის სატელეფონო ინტერვიუ კოკი კილურაძესთან.

შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული წესით დაკავება მასობრივად ღამის ოთხი საათის შემდეგ რესპუბლიკის მოედნის ტერიტორიიდან დაიწყო. ამ დროისთვის პარლამენტთან მისასვლელი და რუსთაველის გამზირის ნაწილი მომიტინგეთაგან უკვე სრულად თავისუფალი იყო. რუსთაველის თეატრთან განლაგებული სპეცრაზმი მსვლელობით რესპუბლიკის მოედნისკენ მიემართებოდა. ამ დროისთვის აქციის მონაწილეთა გარკვეული ჯგუფის მხრიდან, ოპერის თეატრის წინ, სხვადასხვა საგნების სპეცრაზმის მიმართულებით სროლის საპასუხოდ, სამართალდამცავები პერმანენტულად იყენებდნენ წყლის ჭავლს, ცრემლსადენ გაზსა და რეზინის ტყვიებს.⁶⁴ 04:21 საათიდან დემონსტრანტებმა რუსთაველის ძეგლის მიმდებარე ტერიტორიისკენ გადაინაცვლეს, ვინაიდან პარლამენტის ტერიტორიიდან მობილიზებულმა სპეცრაზმმა რუსთაველის გამზირის გავლით მათი მიყოლა დაიწყო. სწორედ ამ პერიოდიდან, მედიით გავრცელებული კადრებით თვალსაჩინო ხდება, რომ სპეცრაზმს პოლიციის თანამშრომელთა ჯგუფი გამოეყო, რომელთაც მომიტინგეთა მასობრივი დაკავება დაიწყო. რუსთაველის გამზირიდან მელიქიშვილის გამზირისკენ დაძრული აქციის მონაწილეები შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა და საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა გამთენიისას, 04:30 საათიდან დააკავეს. პოლიციამ დაკავების დროს ცალკეული მომიტინგეების მიმართ ძალას გადაამეტა⁶⁵. მედიის მიერ რუსთაველის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე, ისევე როგორც მელიქიშვილის გამზირზე მომიტინგეთა დაკავების დროს დაფიქსირებულია მათი ცემის კადრები.⁶⁶ სამართალდამცავები მომიტინგეებს აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ფიზიკური შეურაცხყოფის დროს იყენებდნენ ხელკეტებს,⁶⁷ ხილვადი იყო პლასტმასის ხელბორკილებით მონაწილეთა ცემის ფაქტებიც.⁶⁸

აქციის ერთ-ერთი მონაწილე, ირაკლი ხვადაგიანი EMC-სთან განმარტავს, რომ გამთენიისას, მისი დაკავება აქციის სხვა მონაწილეებთან ერთად, რუსთაველაზე, რესპუბლიკის მოედნის ტერიტორიაზე მოხდა, სადაც 04:30 საათის შემდეგ, 100-150 მომიტინგე იმყოფებოდა. ხვადაგიანი ამ ტერიტორიაზე თავის ძმასთან ერთად იყო, რომლის დაკავებას ერთი პოლიციელი მისი ხელკეტით ცემით ცდილობდა. ირაკლი ხვადაგიანი ძმას დასარტყმელად მომზადებული ხელკეტისგან დასაცავად გადაეფარა, რა დროსაც სახეზე მძიმე დაზიანებები მიიღო. ამის შემდგომ, მას ნახევარი წუთის განმავლობაში 4 ან 5 პოლიციელი სცემდა.

დაკავებები გაგრძელდა დილის ხუთი საათიდან მელიქიშვილის გამზირის ტერიტორიაზე, სადაც მომიტინგეთა ნაწილი კვლავ შეგროვდა და ხანმოკლე პერიოდით გზის სავალ ნაწილზე დაჯდა.⁶⁹ მოქალაქეთა ამ ჯგუფმა ჭავჭავაძის გამზირზე ბარიკადები აღმართა, ნაწილი კი გმირთა მოედნის ტერიტორიისკენ გაემართა, სადაც, მათი თქმით, კვლავ რუსეთის ოკუპაციის გაპროტესტება სურდათ⁷⁰. პოლიცია მათ მიყოლას და ფრაგმენტულ დაკავებებს განაგრძობდა.

⁶⁴ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2FK7umE>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁶⁵ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/307rdEe>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁶⁶ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Jloh01>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁶⁷ 2019 წლის 26 ივნისს EMC-ისთან სატელეფონი ინტერვიუს დროს, აქციის მონაწილის - ირაკლი ხვადაგიანის განმარტება.

⁶⁸ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2NBXthM>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁶⁹ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XnpspN>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁷⁰ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2Jp5Jwe>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

შეკრების არაერთი მონაწილის ახსნა-განმარტებიდან, ისევე როგორც სასამართლო პროცესების მონიტორინგის დროს დაკავებულთა სასამართლო პროცესზე გაკეთებული განცხადებებიდან იკვეთება, რომ პარლამენტის შენობასთან შეკრების დაწყებიდან მთელი ღამის განმავლობაში, აქციის ცალკეული მონაწილეების მიმართ დაკავების დროს პოლიციამ არაპროპორციული ძალა გამოიყენა. პრობლემური იყო ის გარემოებაც, რომ დაკავება შეკრების მონაწილე თუ არამონაწილე პირთა მიმართ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ბუნდოვანების პირობებში, შაბლონურად, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობაზე მითითებით განხორციელდა. კიდევ ერთხელ უნდა ითქვას, რომ დაკავებებს წინ არ უსწრებდა პოლიციის მხრიდან ნათელი განმარტება და მოწოდება კონკრეტული ქცევის შეწყვეტის ან/და კონკრეტული ტერიტორიის დატოვების შესახებ.

შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული წესით დაკავება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე მოხდა, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე სტანდარტებს არ შეესაბამება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული დაკავების დროს დამკავებელი მოხელე ვალდებულია დაკავებულს დაკავებისთანავე გასაგები ფორმით განუმარტოს მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, დაკავების საფუძველი და ადვოკატის მეშვეობით უფლებების დაცვის შესაძლებლობა. ამავე ნორმის საფუძველზე, დამკავებელი მოხელე ვალდებულია, დაკავებული პირი დაუყოვნებლივ მიიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცველ ორგანოში. მოცემულ შემთხვევაში, მომიტინგეთა უმრავლესობა დაკავების საფუძველების განმარტების არარსებობაზე მიუთითებდა.

ამასთან, EMC-ის დაცვის ქვეშ მყოფი ადმინისტრაციული წესით დაკავებული 9 დემონსტრანტიდან არც ერთი პირი, დროებითი მოთავსების იზოლატორში არ გადაუყვანიათ დაკავების შემდგომ. დაკავებულები მთელი ღამის განმავლობაში იმყოფებოდნენ ნოე რამიშვილის ქუჩაზე მდებარე სამინისტროს შენობის ეზოში, ან ეზოში გაჩერებულ პოლიციელთა ავტომობილებში. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევად მიიჩნია შემთხვევა, როდესაც მშვიდობიანი შეკრების მონაწილე პირის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის ადმინისტრაციული წესით დაკავების შემდეგ, დაკავებული პოლიციამ დაახლოებით სამი საათის განმავლობაში პოლიციის განყოფილებაში დააყოვნა⁷¹.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლით განსაზღვრულია ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ქმედების არსის მითითების თაობაზე სამართალდამცავის ვალდებულება. მომიტინგეთა დაკავებისა და სამართალდარღვევების ოქმები იდენტური შინაარსის, ყოველგვარი კონკრეტიზების გარეშე, 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენას უთითებდა, რის გამოც, ინდივიდუალურად პირის ქმედების განსაზღვრა, როგორც ოქმიდან, ისე პოლიციის ახსნა-განმარტებიდან, ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. დაკავებულთა საქმეების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის, სასამართლო სხდომების მონიტორინგი, არაერთ შემთხვევაში, პოლიციელთა მხრიდან ადმინისტრაციული დაკავების თვითნებურ გამოყენებაზე მიუთითებდა.

⁷¹ Case of Emin Huseynov v. Azerbaijan, Application No. 59135/09, 2015, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2JwvBX5>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არსებითად კრიტიკულია ეროვნული სასამართლოების მიერ ამგვარი დაკავებებისას საქმეთა განხილვის პროცედურის ფორმალური ხასიათის მიმართ. კერძოდ, სასამართლო საქმეზე *Gafgaz Mammadov v. Azerbaijan* აღნიშნავს, რომ „ეროვნულმა სასამართლოებმა, რომელთაც ადმინისტრაციული პატიმრობა მიუსაჯეს აპლიკანტს, დაკავების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების შეფასებისას თვითნებურად მოქმედებდნენ - არ გამოუკვლევიათ პოლიციელთა ჩარევის კანონიერება დემონსტრაციისას. აღნიშნულ პირობებში, სასამართლოს არ შეუძლია არ დაასკვნას, რომ აპლიკანტისთვის თავისუფლების აღკვეთა მთლიანობაში იყო თვითნებური, რითიც დაირღვა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილი.“⁷²

დაკავების პრაქტიკის ძირითადი პრობლემა იყო ასევე გამოყენებული ფიზიკური ძალის არაპროპორციულობა. „პოლიციის შესახებ“ კანონით, ფიზიკური ძალის გამოყენება, მათ შორის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის დასაკავებლად, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არაძალისმიერი მეთოდების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს პოლიციელის მიერ მისთვის კანონით დაკისრებული ფუნქციის შესრულებას.⁷³ ამავე კანონის მე-10 მუხლით, ფიზიკური იძულების გამოყენებისას პოლიციელმა პროპორციულობისა და აუცილებლობის პრინციპის გათვალისწინებით უნდა იხელმძღვანელოს. მაშინაც კი, როდესაც ფიზიკური იძულების ღონისძიებას სამართალდამცავი აუცილებლობის მოტივით ამართლებს, გამოყენებული ძალა ადეკვატური უნდა იყოს. მოცემულ შემთხვევაში, მედიასაშუალებებით გავრცელებული კადრები დაკავებულთა მიმართ ცემისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის თაობაზე, პოლიციელთა სავარაუდო სისხლისსამართლებრივ და დისციპლინურ გადაცდომებზე უთითებს, რაზეც საგამომიებო ორგანოთა დროული რეაგირება შეკრების დროს გამოვლენილი მძიმე კანონდარღვევების შეფასებისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, შეკრების თავისუფლების უფლების განხორციელებაში ჩარევა არ შემოიფარგლება მხოლოდ პირდაპირი აკრძალვით, იქნება ეს კანონიერი თუ დე ფაქტო, ჩარევა შესაძლოა ასევე გამოიხატოს სახელმწიფოს მხრიდან სხვა ზომების მიღებაშიც. „აკრძალვა“ ევროპული კონვენციის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილისთვის უნდა იქნას ინტერპეტირებული იმგვარად, რომ მოიცავდეს, როგორც შეკრებამდე, ისე მისი მიმდინარეობისას, და მის შემდგომ მიღებულ ზომებს. თუ პირდაპირ აკრძალვას შეკრებამდე შესაძლოა ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი მათთვის, ვინც აპირებდა მასში მონაწილეობას, რაც წარმოადგენს ჩარევას შეკრების თავისუფლების უფლების განხორციელებაში⁷⁴, შეკრების განმავლობაში სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები, როგორცაა შეკრების დაშლა, მონაწილეთა დაკავება და მათთვის სახდელისა თუ პასუხისმგებლობის დაკისრება შეკრებაში მონაწილეობისთვის, ასევე წარმოადგენს შეკრების თავისუფლების შეზღუდვას და ჩარევას მე-11 მუხლით დაცულ უფლებაში.⁷⁵

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება ზემოთხსენებულ საქმეზე *Gafgaz Mammadov v. Azerbaijan*⁷⁶, რომელიც შეკრებისა და მანიფესტაციის დაშლასა და უკანონო დაკავების

⁷² Case of *Gafgaz Mammadov v. Azerbaijan*, Application no. 60259/11, 2015, §§108-109, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/1VTRFC>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁷³ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლი.

⁷⁴ Case of *Gafgaz Mammadov v. Azerbaijan*, Application no. 60259/11, 2015, §50, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/1VTRFC>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ იქვე.

ფაქტებს შეეხება, აღნიშნულია, რომ ის ზომები, რომელიც სახელმწიფომ გამოიყენა მანიფესტანტების დაკავებისა და მათთვის 5 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდებით ემსახურებოდა იმ მიზნებს, რომელიც არ იყო დაკავშირებული იმ საფუძვლებთან, რომელიც გაამართლებდა თავისუფლების აღკვეთას და შეიცავდა პოლიციელთა მხრიდან გადაცდომისა და თვითნებური ქცევის ელემენტებს. სასამართლო აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, რომ აპლიკანტს ფორმალურად პოლიციელის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა ედებოდა ბრალად, სინამდვილეში იგი დაკავებული იქნა მისი მონაწილეობის გამო არაავტორიზებულ მშვიდობიან დემონსტრაციაში.

გაეროს სპეციალურ მომხსენებელთა საერთო ანგარიშის მიხედვით, შეკრებებისას ადამიანის უფლებების მიდგომით განხორციელებლმა დაკავებებმა, რომელიც ძალადობრივი დემონსტრანტების მხრიდან მომავალი რისკის პრევენციას ემსახურება, მნიშვნელოვანი დამცველობითი ფუნქცია შეიძლება ითამაშოს⁷⁷. თუმცა, არავინ უნდა დაექვემდებაროს თვითნებურ და გაუმართლებელ დაკავებასა და დაპატიმრებას. შეკრებების დროს დემონსტრანტების დაკავება შეკრების თავისუფლებით სარგებლობისგან თავის შეკავებისთვის ან მათ დასასჯელად, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაკავება დაუსაბუთებელია ან პროპორციულობის პრინციპს სცდება, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტთან შეუთავსებელია. ამგვარადვე პრობლემურია პოლიციის მიერ „მასობრივი დაკავებების“ მეთოდის გამოყენება, რომელიც შეიცავს თვითნებური დაკავების მაღალ რისკებს.⁷⁸

ამავე ანგარიშის მიხედვით, სპეციალური მომხსენებლები განსაკუთრებულად პრობლემურად მიიჩნევენ ადმინისტრაციულ დაკავებებს. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ ამგვარი დაკავება, რომელიც პირს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ აკისრებს, შეიცავს თავისუფლების თვითნებური აღკვეთის მკვეთრ რისკებს.⁷⁹ პროპორციულობის სტანდარტი განსაკუთრებით რელევანტურია იმ ადმინისტრაციული სანქციებისათვის, რომლებიც შეკრებების დროს იქნა გამოცემული. არცერთმა სანქციამ არ უნდა გადააჭარბოს არაპროპორციულობის ზღვარს, რადგანაც შესაძლოა “მსუსხავი ეფექტი” იქონიოს შეკრების თავისუფლების განხორციელებაზე ზოგადად.⁸⁰

21 ივნისს ადგილი ჰქონდა თვითნებურ და უკანონო დაკავებებს, მათ შორის, ზოგიერთ შემთხვევაში პოლიციის მხრიდან დაკავებისას გამოყენებული იყო არაპროპორციული ძალა. დაფიქსირდა შეკრების მონაწილეების ცემისა და ღისების შელახვის პრაქტიკები მაშინაც, როდესაც ისინი უკვე პოლიციის ეფექტიანი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ და ამდენად, არ წარმოადგენდნენ რაიმე საფრთხეს. ამ პირობებში ძალის გამოყენების შემთხვევები დაუშვებელია და ის შეკრების მონაწილეების დასჯის გაუმართლებელ მოტივს აჩვენებს. პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან დაძრულ პოლიციას არ გაუკეთებია ცხადი მოწოდებები რუსთაველის გამზირზე მყოფი პირების მისამართით, ამდენად ნათელი და განჭვრეტადი არ ყოფილა რაში მდგომარეობდა პოლიციის მოთხოვნა და კონკრეტულად რა ტერიტორიის დატოვება ევალებოდათ დემონსტრანტებს. პოლიცია დაკავებების დროს

⁷⁷ UN Human Rights Council, Joint report of the Special Rapporteur on the rights to freedom of peaceful assembly and of association and the Special Rapporteur on extrajudicial, summary or arbitrary executions on the proper management of assemblies, 4 February 2016, A/HRC/31/66, §44, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2XoV9iz>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁷⁸ იქვე, §45.

⁷⁹ იქვე, §§ 46-48.

⁸⁰ იქვე, §§ 46-48.

ინდივიდუალური ბრალეულობით და პასუხისმგებლობით არ ხელმძღვანელობდა და დემონსტრანტების ნაწილს კანონიერი საფუძვლის არაარსებობის პირობებში აკავებდა.

არასათანადო მოპყრობის პრაქტიკა დაკავების შემდეგ

აქციის მონაწილეთა გამოკითხვის დროს, მიმდინარე წლის 21 ივნისის ღამეს, შეკრების მონაწილეთა ადმინისტრაციული წესით დაკავების შემდგომ, დაკავებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე მიუთითეს EMC-სთან ინტერვიუებში თავად მომიტინგებმა. შემთხვევის ადგილზე მყოფი მედიასაშუალებების მიერ დაფიქსირებული ვიდეოკადრებით⁸¹, დაკავების შემდეგ, მოქალაქეთა მიმართ პოლიციის მიერ ძალის გადამეტების ფაქტები ასევე თვალსაჩინო იყო⁸².

EMC-ის დაცვის ქვეშ მყოფმა ერთ-ერთმა აქციის მონაწილემ განმარტა, რომ აქციის მშვიდობიანი მიმდინარეობის დროს პარლამენტთან იმყოფებოდა, მოგვიანებით კი, ტერიტორია დატოვა. დემონსტრანტთა რეზინის ტყვიებით დაზიანებების ამსახველი სატელევიზიო კადრების ნახვის შემდგომ კი, მეგობრებთან ერთად, ოპერის მიმდებარე ტერიტორიაზე მისვლა დაშვებულთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით გადაწყვიტა. იგი ღამის ორი საათისთვის დააკავეს. დაკავებული მთელი ღამის განმავლობაში, ნოე რამიშვილის ქუჩაზე მდებარე შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის ეზოსთან მანქანაში იმყოფებოდა და არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, არ ჰქონდა საპირფარეოთი სარგებლობის უფლება, რის გამოც, ბიოლოგიური მოთხოვნილებების ადგილზე დაკმაყოფილება მოუხდა. მან ასევე განმარტა, რომ პოლიციის თანამშრომელი მისგან სამართალდარღვევების აღიარების შემცველი ახსნა-განმარტების დაწერას მოითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელბორკილის მოჭერით ემუქრებოდა, რაც დაკავებულისთვის დამატებით ტკივილს იწვევს.

სამედიცინო დახმარების ხელმიუწვდომლობაზე საუბრობენ აქციის მონაწილეები - ირაკლი და დავით ხვადაგიანები. ირაკლი ხვადაგიანმა EMC-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ პოლიციის ხელკეტის წარბის არეში მოხვედრის შემდეგ, სახიდან სისხლდენა და თვალის არეში ძლიერი ტკივილი მთელი ღამის განმავლობაში ჰქონდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან მიყვანის შემდგომ, ის საავადმყოფოში გადაყვანას ითხოვდა, თუმცა მას მხოლოდ ადგილზე ჭრილობის დამუშავებით აღმოეჩინა სამედიცინო დახმარება. მისი დაზიანებებით არც ადმინისტრაციული წესით საქმის განმხილველი მოსამართლე დაინტერესებულა, ისე შეეფარდა ხვადაგიანს 9 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა. მოგვიანებით, დროებითი მოთავსების იზოლატორის დატოვების შემდეგ, მას თვალბუდის მოტეხილობა დაუდგინდა. მისი განმარტებით, მთლიანობაში დაკავებიდან 3 დღის მანძილზე სათანადო სამედიცინო დახმარების აღმოუჩენლობის გამო, იგი, შესაძლოა საოპერაციო გახდეს.

დაკავების შემდგომ ცემაზე მიუთითა ადმინისტრაციული დაკავების შემდგომ სასამართლო პროცესზე აქციის ორმა მონაწილემაც, თუმცა, სასამართლომ ამ პირებს დამატებითი გარემოებების გარკვევის გარეშე, საგამოძიებო ორგანოსთვის მიმართვა ურჩია.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი ავალდებულებს სამართალდამცავს, პოლიციის საქმიანობის განხორციელებისას ის ფორმები, მეთოდები და საშუალებები გამოიყენოს, რომელიც არ ხელყოფს

⁸¹ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2RLZ96A/>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁸² ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2FLuXDM>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ დაარღვევს ადამიანის სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. ამავე კანონით, საპოლიციო ღონისძიების განხორციელებისას დაუშვებელია წამება, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.⁸³

„პოლიციის შესახებ“ კანონით დადგენილია პოლიციელის ვალდებულება, მისთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულების მიზნით პროპორციულად გამოიყენოს გამოსადეგი იძულების ღონისძიებები მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, იმ ინტენსივობით, რომელიც უზრუნველყოფს კანონიერი მიზნის მიღწევას⁸⁴. იძულების ღონისძიების გამოყენებისას პოლიციელი უნდა შეეცადოს, რომ მიყენებული ზიანი მინიმალური და თანაზომიერი იყოს.

21 ივნისის დილას პირთა მასიური დაკავებების კანონიერების საკითხის მიღმა, ზოგიერთ შემთხვევაში ასევე ნათლად გამოჩნდა, პოლიციის ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი დაკავებულების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები, დაკავებულთა ცემის, დაგვიანებული ან/და არასათანადო სამედიცინო დახმარების გაწევისა და დაკავების დროს ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სახით.

ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელშეშლა

2019 წლის 20-21 ივნისს პარლამენტთან გამართული აქციის დაშლისას პოლიციის მიერ სპეციალური საშუალებების არაპროპორციულად გამოყენებით აქციის მონაწილეებთან ერთად, შემთხვევის ადგილზე მყოფი მედიის წარმომადგენლებიც დაშავდნენ. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის ინფორმაციით, 20 ივნისს აქციის დაშლისას, 30-ზე მეტი ჟურნალისტი დაზიანდა. დაშავებულთა უმრავლესობას, დაზიანებები მიყენებული ჰქონდა რეზინის ტყვიებით სახისა და თავის არეში.⁸⁵

პარლამენტის წინ შეკრებაზე რეზინის ტყვიის პირველივე გამოყენებისას, ღამის 12 საათის შემდგომ მალევე, მედიასაშუალებებით გავრცელდა ფოტოგრაფ გურამ მურადოვის ფოტოები, რომელზეც რეზინის ტყვიებით დაზიანებული მისი ზურგია დაფიქსირებული.⁸⁶ EMC-სთან ინტერვიუში მურადოვმა განმარტა, რომ იგი 20 ივნისის საღამოს დემონსტრაციაზე პარლამენტის შენობასთან, სპეცრაზმის კორდონთან ახლოს იდგა. იმ დროისთვის, როდესაც მედიის წარმომადგენლების მისამართით რეზინის ტყვიები ისროლეს, ირგვლივ მომიტინგეები გაფანტულები იყვნენ. მისი აღქმით, ჟურნალისტების მისამართით სროლას მიზანმიმართული ხასიათი ჰქონდა. მურადოვი ამბობს, რომ სამართალდამცავებისთვის მისი ჟურნალისტური საქმიანობა შესამჩნევი და აღქმადი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ხელში ფოტოაპარატი ეჭირა და გულზე ჟურნალისტის დამადასტურებელი „ბეჯი“ ეკეთა. დაზიანებების მიღების შემდეგ, სამედიცინო დახმარების მიღებისთვის მას აქციის დატოვება დასჭირდა.

⁸³ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი.

⁸⁴ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლი.

⁸⁵ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2FO6U7n/>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

⁸⁶ ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2xqLUPo>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

ჟურნალისტი გიორგი გოგუა აქციის დაწყებიდან გამთენიამდე შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა. მან 20-21 ივნისს პარლამენტთან მიმდინარე აქციაზე ჟურნალისტების საქმიანობის ხელშეშლაზე EMC-ის განუმარტა, რომ პოლიცია თავდაპირველად დესტრუქციული აქციის მონაწილეობის შეჩერებით იყო დაკავებული, თუმცა ცრემლსადენი გაზის და რეზინის ტყვიების გამოყენების შემდეგ, სამართალდამცავები ამ საშუალებებს, მათ შორის მშვიდობიანი მონაწილეების მიმართ მიზანმიმართულად, აქციის დატოვების იძულებისთვის იყენებდნენ. მისი განმარტებით, ამგვარ ვითარებაში ჟურნალისტებიც დაზიანდნენ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი ნიკა მუხიგულაშვილი 21 ივნისს დილის 7 საათიდან მედიკოსების და კოსტავას ქუჩებზე, სადაც მომიტინგეთა და სამართალდამცავთა თავმოყრა მოხდა, აქციის დაშლის შემდეგ ვითარებას აშუქებდა. იგი პოლიციამ ნიკოლაძის ქუჩაზე დააკავა, როდესაც აქციის რამდენიმე მონაწილე შევიდა სადარბაზოში პოლიციელებისგან თავის დაღწევის მიზნით. მას ოპერატორთან ერთად ამ დაკავებების გადაღება სურდა. თავიდან პოლიციამ მას გადაღების საშუალება მისცა, თუმცა ნიკას განმარტებით, უშუალოდ დაკავებების დაწყების დროს პოლიციამ მას და მის ოპერატორს ვიდეოგადაღების შეწყვეტა მოსთხოვა. მათ წინააღმდეგობას კი პოლიციელთა აგრესია და სახის არეში ცემა მოყვა. მისი განმარტებით, სავარაუდოდ 3-4 პოლიციელი ურტყამდა მას ხელებს, ფეხებს და ხელკეტებს ტანის და თავის არეში, რის შედეგადაც, მას ტვინის შერყევა, ესკორიაციები, მხრის და ცხვირის დაზიანება აქვს. მომხდარზე პროკურატურამ დაიწყო გამოძიება.

საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლით დაცულია ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლება. ამ უფლებათა შეზღუდვა დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, სხვათა უფლებების უზრუნველყოფისთვის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაშია შესაძლებელი.

20-21 ივნისის აქციის დაშლისას, სამართალდამცავთა მხრიდან სიტყვიერი გაფრთხილება აქციის დაშლის თაობაზე არ განხორციელებულა, ისევე როგორც არ ყოფილა არანაირი კომუნიკაცია ჟურნალისტების უსაფრთხოების დაცვის მიზნით ტერიტორიის დატოვების თაობაზე, შესაბამისად, მათი საქმიანობა პარლამენტის ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენების გაშუქებას ემსახურებოდა და მათი რაიმე მიზეზით შეზღუდვის საფუძველი არ არსებობდა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. მოცემულ შემთხვევაში, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, საგამოძიებო ორგანომ ჟურნალისტების ჯანმრთელობის სხვადასხვა ხარისხის დაზიანებებთან დაკავშირებით დროული და ობიექტური გამოძიებით პასუხისმგებელი პირების ვინაობა გამოკვეთოს.

ეუთოს ანაგრიშის მიხედვით, სამართალდამცავ ორგანოებს აქვთ კონსტიტუციური ვალდებულება არ შეზღუდონ ჟურნალისტების საქმიანობა საჯარო დემონსტრაციებისას და მოახდინონ მათი დიფერენცირება უშუალო დემონსტრანტებისგან, განსაკუთრებით ძალის გამოყენების შემთხვევაში. ჟურნალისტებს აქვთ უფლება ჰქონდეთ მოლოდინი, რომ პოლიციის მხრიდან სამართლიან და არაშემზღუდავ ქცევას დაექვემდებარებიან.⁸⁷ მიუხედავად იმისა, რომ მესამე პირებს, ჟურნალისტებს, მონიტორინგის წარმომადგენლებსა და ფოტოგრაფერებს, ასევე მიემართებათ დაშლის შესახებ

⁸⁷ Handling the Media during Political Demonstrations, Special Report (Vienna: OSCE, 2007), ხელმისაწვდომია: <http://www.osce.org/fom/25744>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

ლეგიტიმური პირის მხრიდან გაცემული მოთხოვნა, მნიშვნელოვანია, რომ მათ ხელი არ უნდა შეეშალოს საპოლიციო ზომების გადაღებასა და ჩაწერაში.⁸⁸

შეჯამება

ამ ანგარიშით EMC 20 ივნისის პოლიციის მოქმედების პირველად სამართლებრივ შეფასებას წარმოადგენს, რომელიც ამ ეტაპზე ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომ ინფორმაციას ეყრდნობა. ცხადია, რომ მოვლენების დეტალური ანალიზის პირობებში, ადამიანის უფლების დარღვევის პრაქტიკები და ინდივიდუალური შემთხვევები კიდევ უფრო დიდ მასშტაბს მიაღწევს და ის კიდევ უფრო დეტალურ და ზედმიწევნით ანალიზს საჭიროებს. ამ დროისთვის ჩვენს ხელთ არსებული საჯარო მასალებისა და ანალიზის შეზღუდული მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების გათვალისწინებით, EMC-ს მიაჩნია, რომ 20 ივნისის რუსთაველზე გამართული საპროტესტო აქციის მონაწილეების ნაწილის ქცევამ უკონტროლო ძალადობრივი ხასიათი შეიძინა და პოლიციას შეკრების თავისუფლებაში ჩარევის და აქციის შეწყვეტის სამართლებრივი საფუძველი მისცა. თუმცა, აქციის შეწყვეტის დროს პოლიციამ უგულვებელყო აქციის დაშლისთვის კანონით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის, სათანადოდ არ გამოიყენა მოლაპარაკებების რესურსი. ისე, რომ პოლიციას არ გააჩნდა ადამიანის უფლებების სტანდარტების დაცვით აქციის დაშლისა და ადამიანების მასების მართვის ეფექტიანი, გონივრული და ზედმიწევნითი გეგმა, მან მასობრივად და განურჩევლად გამოიყენა ჭარბი საპოლიციო ძალა და ამკრად დაარღვია სპეციალური საშუალებების გამოყენების თანმიმდევრობა და წესები, რამაც შედეგად დემონსტრანტთა მიმედ დაშავება და ზოგიერთ შემთხვევაში გამოუსწორებელი დაზიანება გამოიწვია. შუა ღამით აქციის პირველი დაშლის შემდეგ, პოლიციის ქცევამ ამკრად თვითნებური ხასიათი მიიღო და უკვე ბუნდოვანი გახდა თუ რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა მათ მიერ პარლამენტის შენობიდან უკვე მოშორებით მყოფი შეკრების მონაწილეების რამდენიმე საათის განმავლობაში დევნა, დაკავება და ძალადობა.

პოლიციის მიერ გამოვლენილი ძალადობის მასშტაბი და ინტენსივობა, პოლიციის მხრიდან ადამიანის უფლებების ამკრა და მასობრივი დარღვევის ფაქტების ეფექტიანი მონიტორინგისა და პრევენციის სისტემის არ არსებობა და რამდენიმე საათის განმავლობაში მსგავსი პრაქტიკების შეწყნარება, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი თანამდებობის პირებისა და მენეჯმენტის სამართლებრივ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ცალსახად აყენებს.

ანგარიში დეტალურად აღწერს აქციის განვითარების დინამიკას, მათ შორის, აქციის მონაწილეთა ნაწილის მხრიდან პარლამენტში შეღწევის მცდელობას და ამ მიზნით, პარლამენტის წინ მყოფ პოლიციის კორდონზე თავდასხმის ეპიზოდებს. სწორედ აქციის მონაწილეთა მხრიდან განგრძობადად გამოხატულმა აგრესიულმა ქცევამ და პარლამენტის ეზოში შეღწევის მცდელობებმა მისცა პოლიციას აქციის დაშლის სამართლებრივი საფუძველი. სამწუხაროა, რომ აღნიშნულ კანონსაწინააღმდეგო მოწოდებებში ჩართულები იყვნენ ოპოზიციური პოლიტიკური ლიდერებიც. მეტიც, სიტუაციის ესკალაციის პირობებში აქციის ორგანიზატორებმა არც კი სცადეს შეკრების მონაწილეების ძალადობრივი ქცევების შეკავება და დეესკალაციისკენ მიმართული ნაბიჯების გადაგმა.

⁸⁸ OSCE/ODIHR, Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, SECOND EDITION, § 168, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2yrcfhz>, ბოლო ნახვა: 02.07.19.

დემოკრატიული პროცესების ამგვარი ტაქტიკებით წარმართვა არსებით დაპირისპირებაში მოდის თავად დემოკრატიის იდეასთან და ამგვარი უპასუხისმგებლობა სათანადო სამართლებრივ და პოლიტიკურ შეფასებას მოითხოვს.

მიუხედავად აქციის დაშლის გადაწყვეტილების კანონიერებისა, შემდგომ ეტაპზე პოლიციის ქმედებებში არაერთი პრობლემური, მათ შორის, მძიმე ეპიზოდი გამოიკვეთა. პირველ რიგში, პოლიციამ არ უზრუნველყო აქციის მონაწილეთა სათანადო ფორმით გაფრთხილება აქციის დაშლის დაწყებამდე, რაც შეკრებისა და მანიფესტაციის მარეგულირებელი კანონმდებლობის ცალსახა დარღვევას წარმოადგენს.

აქციის დაშლა პოლიციამ ღამის 12 საათისთვის ცრემლსადენი გაზით დაიწყო, რასაც მცირე დროში რეზინის ტყვიების გამოყენება მოყვა, ისე რომ ჯერ კიდევ არ იყო ამოწურული ნაკლები ინტენსივობის და სიმძიმის სპეციალური საშუალებების გამოყენების რესურსი. ასევე ადეკვატურად არ იყო შეფასებული, ცრემლსადენი გაზის გამოყენების შემდგომ, პარლამენტის შენობაში შეღწევის ან/და საპოლიციო დანაყოფებთან შეტაკებების განმეორების საფრთხე, მისი რეალურობა და მყისიერება.

აქციის დაშლის ოპერაცია პრაქტიკულად მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა. დემონსტრანტთა გარკვეული ნაწილი პოლიციის მიმართ აგრესიულ ქმედებებს სხვადასხვა ლოკაციაზე, სხვადასხვა საგნების გამოყენებით ახდენდა. თუმცა, პოლიცია არ მიჯნავდა მშვიდობიანი და არამშვიდობიანი ქცევის მქონე შეკრების მონაწილეებს და მათ მიმართ განურჩეველ ინტენსიურ საპოლიციო ძალას იყენებდა. აღნიშნულს ყველაზე ნათლად ადასტურებს ათეულობით ჟურნალისტის დაზიანების შემთხვევები. პოლიციის მიერ სპეციალური საშუალებების გამოყენებას, თან ახლდა დემონსტრანტთა მძიმე დაზიანება. ზოგიერთ ეპიზოდში, პოლიცია რეზინის ტყვიებს მცირე დისტანციიდან, თავისა და სახის არეში დამიზნებით იყენებდა, რამაც გაზარდა დაზიანებების სიმძიმე. აქციის დაშლის გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში პოლიციამ არ დაიცვა სპეციალური საშუალებების გამოყენების წესები, თანმიმდევრობა და არაპროპორციული საპოლიციო ძალა გამოიყენა.

აქციის დაშლას ათეულობით დემონსტრანტის ადმინისტრაციული დაკავება მოყვა. დაკავების საფუძვლები და სასამართლოში პოლიციელთა მიერ განმარტებები სუსტი, შაბლონური, უკიდურესად იდენტური, რაც არაერთ შემთხვევაში დაკავებების თვითნებურობაზე მიუთითებდა. განსაკუთრებით საგანგაშოა ინფორმაცია დაკავების პროცესში და შემდგომ, პოლიციის მიერ გამოყენებული ფიზიკური ძალის შესახებ. დაკავებულთა ნაწილი მათ მიმართ დაკავების შემდგომ ცემაზე, ღირსების შემლახავ ან არასათანადო მოპყრობაზე მიუთითებდა.

20 ივნისს გამართული ანტისაოკუპაციო აქცია, რომელიც გარკვეულ ეტაპზე ძალადობრივ ქმედებებში გადაიზარდა, პოლიციის მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებით დაიშალა. მიუხედავად აქციის დაშლის ლეგიტიმური საფუძვლის არსებობისა, პოლიციამ დაშლის დაგეგმვის და მისი აღსრულების პროცესში დაარღვია შეკრებისა და მანიფესტაციის, თავისუფლებისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის, არასათანადო მოპყრობისგან დაცვის ფუნდამენტური უფლებების არაერთი ასპექტი. რა თქმა უნდა, მხედველობაშია მისაღები აქციის მონაწილეთა ნაწილის მკვეთრად აგრესიული ქცევა, პოლიციასთან შეტაკების ეპიზოდები. თუმცა, ნათელია, რომ აქციის დაშლის პროცესში, პოლიციამ ძალის დიფერენცირებული და პროპორციული გამოყენების პრინციპი ვერ დაიცვა.

20 ივნისის აქციის დაშლა ასევე აჩვენებს იმ ინსტიტუციურ გამოწვევას, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს არ გააჩნია საკმარისი სტრატეგია, ტექნიკები, სისტემები და ადამიანური რესურსი, რომელიც მასობრივი შეკრებების ადამიანის უფლებების სტანდარტებით მართვის შესაძლებლობას მისცემს. შეკრების შეწყვეტის შემთხვევაში გონივრული და ეფექტიანი სამოქმედო გეგმის, საფრთხეების სათანადო გაზომვის და პრევენციის, პროცესის ზედმიწევნით მონიტორინგის, გადამოწმებისა და შეთანხმების სისტემები კვლავ მყიფე, გაუმართავი და სუსტია. საკუთარი მოქალაქეების მიმართ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ამ ხარისხის ძალადობაში ჩართვა ასევე არსებითად აზიანებს სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ნდობას.

20 ივნისი, წინა წლებში (მათ შორის, 2007 წლის 7 ნოემბრის, 2011 წლის 26 მაისის) აქციების ძალადობრივი დაშლის მძიმე პოლიტიკური და სოციალური გამოცდილების გაგრძელებაა, რომელიც ინსტიტუციონალური ძალადობის პრაქტიკაზე მიუთითებს და სახელმწიფო ინსტიტუტების და დემოკრატიული პროცესების მიმართ ნდობას ასუსტებს.

20 ივნისს ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევებისა და უფრო ფართოდ, პოლიციის მოქმედებებში გამოვლენილი მრავალჯერადი, ხანგრძლივი და მძიმე ხასიათის კანონდარღვევებზე სათანადო რეაგირების მიზნით, მნიშვნელოვანია:

- ჩატარებულ ღონისძიებასა და მის შედეგებზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა აიღოს და თანამდებობა დატოვოს შინაგან საქმეთა მინისტრმა;
- პროკურატურამ გონივრულ ვადებში აწარმოოს გამოძიება აქციის დაშლის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირებისა და ინდივიდუალური პოლიციელების ქმედებებში დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის და შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების მიზნით. საზოგადოებას თითოეულ საქმესთან დაკავშირებით უნდა მიეწოდოს ინფორმაცია რეაგირების ფორმების შესახებ;
- იქ სადაც დაზარალებულებს ჟურნალისტები წარმოადგენენ, გამოძიების მხრიდან ყურადღება უნდა გამახვილდეს ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის ასპექტებზე;
- ასევე დროულად უნდა იყოს გამოძიებული 20 ივნისის პარლამენტის შენობის წინ და სხვა ტერიტორიებზე მომიტინგეთა ნაწილის მიერ პოლიციელებზე განხორციელებული თავდასხმის ეპიზოდები, ისევე როგორც პარლამენტში შესვლის შესახებ გაკეთებული კანონსაწინააღმდეგო მოწოდებები და მომიტინგეთა შემდგომი ქმედებები;
- დამოუკიდებელი გამოძიების საგანი უნდა გახდეს თვითნებური და უსაფუძვლო დაკავების, ისევე როგორც დაკავებისას და შემდგომ შესაძლო ძალადობის და არასათანადო მოპყრობის შემთხვევები;
- არსებითია მიმდინარე გამოძიების პროგრესისა და შედეგების შესახებ საზოგადოებას დროულად ეცნობოს. ამასთან, გამოძიების გამჭვირვალობისთვის და ნდობისთვის მნიშვნელოვანია ამ პროცესში დაზარალებული პირებისა და მათი წარმომადგენლების უფლებების მაღალი ხარისხით დაცვა და პროცესში სახალხო დამცველის საზედამხედველო როლის რეალური განხორციელების ხელშეწყობა;
- მნიშვნელოვანია, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან სათანადოდ გაანალიზდეს ის სისტემური ხარვეზები, რაც აქციის დაშლის, სპეციალური საშუალებების გამოყენების და დემონსტრანტთა ფართო მასების მართვის მიმართულებით 20 ივნისის მოვლენებმა გამოკვეთა და მათ ინსტიტუციურ დონეზე უპასუხოს;

- ხელისუფლებამ აქციის შედეგად დაზარალებულ პირებს სრულფასოვანი მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინოს სამედიცინო და რეაბილიტაციის სერვისების დაფინანსების კუთხით.